ანტიკორუფციული ბიუროს 2023 წლის საქმიანობის ანგარიში

ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის მიმართვა

კორუფცია დაავადებაა... არცერთი ქვეყანა არ არის დაცული კორუფციისგან… კორუფციას აქვს საერთაშორისო განზომილებაც. იგივე ღია საზღვრები, ტექნოლოგიური მიღწევები, ტრანსნაციონალური კომუნიკაციები და კომერციული ტრანზაქციები, რომლებიც დღევანდელი გლობალური საზოგადოების დამახასიათებელი ნიშნებია, კორუფციას აძლევს ფესვების გაჩენისა და აყვავების საშუალებას. საერთაშორისო თანამშრომლობა მთავრობებს, კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის აუცილებელია, თუ ჩვენ გვინდა დავამარცხოთ ეს საფრთხე.

კოფი ანანი, გაეროს ყოფილი გენერალური მდივანი და ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი

2022 წელს, საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებების საფუძველზე, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობისათვის შეიქმნა ანტიკორუფციული ბიურო, როგორც დამოუკიდებელი უწყება.

მიუხედავად იმისა, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოსათვის არ იყო ახალი, დამოუკიდებელი უწყების შექმნამ კიდევ უფრო გაამყარა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საყრდენი. საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, ანტიკორუფციულ ბიუროში გაერთიანდა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პრევენციული, აღმასრულებელი და მაკოორდინებელი ფუნქციები. ბიუროს გადაეცა თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების, პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგისა და მამხილებლის დაცვის საკითხებზე რეკომენდაციების გაცემისა და პოლიტიკის შემუშავების უფლებამოსილება.

შესაბამისად, დამოუკიდებელი და მრავალფუნქციური უწყების შექმნამ გააჩინა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, კოორდინირებული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების ეფექტური შესაძლებლობა.

შექმნიდან ერთი წლის მანძილზე, ბიურომ არსებული ინსტიტუციური გამოცდილების, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლის, აკადემიური წრეების წარმომადგენლებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობის, საჯარო სექტორთან კომუნიკაციებისა და ასევე საერთაშორისო პარტნიორების ხელშეწყობით შეძლო მყარი ფუნდამენტის ჩაყრა ბიუროს წარმატებული სამომავლო საქმიანობისათვის. თანამედროვე ხედვებზე დაფუძნებული სტრატეგიის განსაზღვრითა და მნიშვნელოვანი ღონისძიებების იდენტიფიცირებით, დაგეგმვითა თუ პირველი ნაბიჯების გადადგმით, შეიქმნა სამომავლო წარმატებული საქმიანობის მყარი საფუძველი.

ნებისმიერი საქმის წარმატების წინაპირობა არის, უპირველეს ყოვლისა, სწორი ხედვა, რომელიც ქმნის საქმიანობის სტრუქტურირებული და სისტემური მიდგომებით წარმართვის შესაძლებლობას. კორუფციასთან ბრძოლის ხელშეწყობის მიზნით ანტიკორუფციული ბიუროს ხედვა მოიცავს რამდენიმე მიმართულებას. კერძოდ, ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის გაძლიერებას, პრევენციულ ღონისძიებებზე ფოკუსირებას, საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდას, შედეგზე ორიენტირებული სერვისების დანერგვას

მამხილებელთა დაცვისათვის, საზოგადოების, საჯარო თუ კერძო უწყებების ჩართულობით კეთილსინდისიერების წახალისებას.

კორუფცია, თავისი კომპლექსური ბუნებიდან გამომდინარე, მოითხოვს სწორი პრიორიტეტების განსაზღვრას, მუშაობას სხვადასხვა მიმართულებით და თანამშრომლობას ხელისუფლების ყველა შტოსა და საზოგადოებასთან. შესაბამისად, პირველივე დღეებიდან ბიურომ საქმიანობა დაიწყო სწორედ ამ თანამშრომლობის შექმნითა და გამყარებით. ბიუროს საქმიანობასა და მის ინსტიტუციურ განვითარებაში აქტიურად არიან ჩართული აკადემიური წრეების წარმომადგენლები, სამოქალაქო საზოგადოების წევრები, საჯარო თუ კერძო უწყებები, ასევე საერთაშორისო ექსპერტები.

კორუფციასთან ბრძოლის გზაზე მნიშვნელოვანი იარაღია ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა. „თუ კორუფცია დაავადებაა, გამჭვირვალობა მისი მკურნალობის განუყოფელი ნაწილია“[1]. შესაბამისად, გამჭვირვალობის გაზრდა არის ბიუროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი, რომელიც წარმოადგენს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავების მამოძრავებელ ღერძს და მოიცავს ასევე თანამდებობის პირებისა და პოლიტიკური პარტიების ფინანსების კონტროლის მექანიზების დახვეწასა და განვითარებას.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვის/გამოყენების წახალისება, განათლება, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება მნიშვნელოვანი პრევენციული აქტივობებია, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეზღუდოს კორუფციის საფრთხეები. ბიუროს ხედვები ამ მიმართულებითაც მოიცავს აქტიური ნაბიჯების გადადგმას.

საზოგადოების ცნობიერების შეცვლა უნდა დაიწყოს ახალგაზრდა თაობიდან. ამისათვის, ბიუროს ინიციატივით მიმდინარეობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სამივე საფეხურზე (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო) სასწავლო პროგრამებში ანტიკორუფციული საკითხების ინტეგრირება.

არაერთი საერთაშორისო ინსტრუმენტი, მათ შორის ვენეციის კომისია (ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად) კორუფციის გამოვლენასა და დევნასთან ერთად განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს პრევენციის მექანიზმების განვითარებაზე. შესაბამისად, ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია და ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმაც მნიშვნელოვანწილად დაეთმობა ამ საკითხებს.

ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ ანტიკორუფციული ბიუროს მიმდინარე და მომდევნო წლები იქნება აქტიური, დატვირთული და მინდა ვუსურვო წარმატება ბიუროს გუნდსა და მთელ საქართველოს, რათა ყველა ჩვენგანის ძალისხმევით მივაღწიოთ ქართველი ხალხის გაცხადებულ მიზანს ევროკავშირის წევრობასთან დაკავშირებით.

[1] კოფი ანანი, გაეროს ყოფილი გენერალური მდივანი და ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი;

რაჟდენ კუპრაშვილი
ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი

I. ანტიკორუფციული ბიუროს მანდატი, მოწყობა და როლი

1. ანტიკორუფციული ბიურო

ევროკომისიის მიერ დადგენილი 12 პრიორიტეტის გათვალისწინებით, 2022 წლის 15 დეკემბერს, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში (შემდგომში - კანონი) განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, შეიქმნა ანტიკორუფციული ბიურო, რომელმაც გააერთიანა კორუფციის პრევენციული და მაკოორდინირებელი მექანიზმები.

კანონის 20[15] მუხლის თანახმად, ანტიკორუფციული ბიურო:

ა) შეიმუშავებს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგადი პოლიტიკის განსაზღვრასთან დაკავშირებულ წინადადებებს და მათ საქართველოს პარლამენტს წარუდგენს;

ბ) შეიმუშავებს საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის პროექტს და მას დასამტკიცებლად საქართველოს მთავრობას წარუდგენს;

გ) კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგადი პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის, საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით კოორდინაციას უწევს შესაბამისი ორგანოების, ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირების საქმიანობას;

დ) ზედამხედველობას უწევს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგადი პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის, საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულებას, მათი შესრულების მიზნით შეიმუშავებს შესაბამის წინადადებებს და გასცემს სათანადო რეკომენდაციებს;

ე) შეიმუშავებს საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის შესახებ შესაბამის წინადადებებს, ამ საკითხებზე გასცემს სათანადო რეკომენდაციებს და კანონის შესაბამისად ახორციელებს ამ სფეროსთან დაკავშირებულ სხვა სათანადო ღონისძიებებს;

ვ) კანონის შესაბამისად უზრუნველყოფს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მიღებას, მისი შევსებისა და ჩაბარების კონტროლს, მის შენახვას, მონიტორინგსა და საჯაროობას და ამ სფეროში სხვა სათანადო ღონისძიებების განხორციელებას;

ზ) შეიმუშავებს მამხილებლის დაცვის ღონისძიებათა გაუმჯობესების შესახებ შესაბამის წინადადებებს, მამხილებლის დაცვის საკითხებზე გასცემს სათანადო რეკომენდაციებს და კანონის შესაბამისად ახორციელებს ამ სფეროსთან დაკავშირებულ სხვა სათანადო ღონისძიებებს;

თ) კანონის შესაბამისად ახორციელებს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პოლიტიკური პარტიის), საარჩევნო სუბიექტისა და განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე პირის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგს და ამ სფეროსთან დაკავშირებულ სხვა სათანადო ღონისძიებებს;

ი) იკვლევს და აანალიზებს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებულ საერთაშორისო სტანდარტებსა და გამოცდილებას, საქართველოსა და სხვა ქვეყნების გამოცდილებას, მათ სამართალს და შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მიდგომებს, მოსაზრებებსა და დასკვნებს;

კ) ხელს უწყობს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდას, მათ შორის, სათანადო საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელებას;

ლ) წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს 31 მარტისა, საქართველოს პარლამენტს წარუდგენს წლიურ ანგარიშს ანტიკორუფციული ბიუროს უფლებამოსილებებისთვის მიკუთვნებული საკითხების შესახებ; თავისი ინიციატივით ან ანტიკორუფციული უწყებათაშორისი საბჭოს მოთხოვნით ანტიკორუფციულ უწყებათაშორის საბჭოს წარუდგენს პერიოდულ ანგარიშს ანტიკორუფციული ბიუროს უფლებამოსილებებისთვის მიკუთვნებული საკითხების თაობაზე.

2023 წლის 1-ლი სექტემბრიდან, ანტიკორუფციული ბიუროს მანდატი ამოქმედდა სრულად, კერძოდ:

- თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირების უზრუნველყოფა;
- თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგი;
- მხილება, ინტერესთა შეუთავსებლობა და კორუფციული რისკების შეფასება;
- პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგი.

2. ანტიკორუფციული ბიურო, როგორც კორუფციის პრევენციისა და მაკოორდინირებელი ორგანო

ვენეციის კომისია[2] საერთაშორისო დოკუმენტების მიმოხილვის საფუძველზე განმარტავს, რომ ევროპის საბჭოსა და გაეროს არც ერთი ინსტრუმენტი არ მოითხოვს ერთიანი სუბიექტის არსებობას, რომელიც მოიცავს ყველა ანტიკორუფციულ ფუნქციას. სახელმწიფოებს

[2] https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2023)046-e

შეუძლიათ აირჩიონ ერთი უწყების მიდგომა ან სხვადასხვა ფუნქციაზე პასუხისმგებლობა გადასცენ რამდენიმე ინსტიტუტს, რომლებშიც იქნება კორუფციის პრევენციის, გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ყველა შესაბამისი ასპექტი და დაცული იქნება ყოვლისმომცველი და თანმიმდევრული მიდგომა.

კომისია მიუთითებს ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში არსებულ სხვადასხვა ტიპის მანდატისა და უფლებამოსილების მქონე მოდელებზე. კერძოდ:

- მრავალფუნქციური ანტიკორუფციული სააგენტოები, რომლებიც აერთიანებენ პრევენციულ ფუნქციებს და სამართალდამცავ უფლებამოსილებებს;
- სამართალდამცავი ტიპის ინსტიტუტები;
- კორუფციის პრევენციის ინსტიტუტები;

საქართველოს ანტიკორუფციული ბიურო მესამე ტიპის ინსტიტუციას წარმოადგენს და მასში გაერთიანებულია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პრევენციული და მაკოორდინირებელი ფუნქციები. ბიუროს გააჩნია თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებისა და პოლიტიკური გაერთიანების (პოლიტიკური პარტიის), საარჩევნო სუბიექტისა და განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე პირის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის უფლებამოსილება, ასევე, მამხილებლის დაცვის ღონისძიებების გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავების მანდატი.

3. ანტიკორუფციული ბიუროს სტრუქტურა

2023 წლის მარტში დამტკიცდა ბიუროს დებულება, რომლითაც განისაზღვრა ბიუროს საქმიანობის ძირითადი პრინციპები, მიზნები, ორგანიზაციული სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ძირითადი ამოცანები. დებულება მომზადდა ევროპული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე.

დებულების თანახმად, ანტიკორუფციული ბიურო შედგება შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისაგან:

- ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
- იურიდიული დეპარტამენტი;
- ანალიტიკური დეპარტამენტი;
- ანტიკორუფციული პოლიტიკის დეპარტამენტი;
- საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი;
- თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის დეპარტამენტი;
- თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირების უზრუნველყოფის დეპარტამენტი;
- პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტი;

- მხილების, ინტერესთა შეუთავსებლობისა და რისკების შეფასების დეპარტამენტი;
- ტექნოლოგიური განვითარების დეპარტამენტი;
- ხარისხის მართვის დეპარტამენტი;
- ანტიკორუფციული განათლების ცენტრი;
- საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური;
- სტრატეგიული კომუნიკაციების სამსახური.



2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ანტიკორუფციულ ბიუროში ჯამში დასაქმებულია 49 თანამშრომელი.

4. ბიუროს ინსტიტუციური დამოუკიდებლობის საკანონმდებლო გარანტიები

ანტიკორუფციული ბიუროს დამოუკიდებლობა გარანტირებულია კანონით. ანტიკორუფციული ბიურო დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტისა და უწყებათაშორისი ანტიკორუფციული საბჭოს წინაშე.

აღსანიშნავია საქართველოს პარლამენტის, სახალხო დამცველისა და სამოქალაქო საზოგადოების როლი ბიუროს უფროსის შერჩევის პროცესში. კერძოდ, კანონის თანახმად, ანტიკორუფციული ბიუროს უფროსობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის გამოცხადებიდან 1 კვირის ვადაში შესაბამისი უწყებები საქართველოს პრემიერ-მინისტრს ატყობინებენ საკონკურსო კომისიის წევრთა ვინაობას. შეტყობინების ვადის გასვლიდან 1 კვირაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია, რომელშიც ასევე შედიან საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და

სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე და საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე. კომისიაში ასევე შედიან საქართველოს სახალხო დამცველი ან მისი წარმომადგენელი და სახალხო დამცველის მიერ ღია კონკურსის წესით შერჩეული სამოქალაქო საზოგადოების (არასამთავრობო ორგანიზაციის) წარმომადგენელი. კონკურსი არის გამჭვირვალე და პრემიერ-მინისტრს წარედგინება კომისიის მიერ შერჩეული არანაკლებ 2 და არაუმეტეს 5 კანდიდატი, რომელთაგანაც ის ირჩევს ერთ კანდიდატს.

ბიუროს უფროსის გათავისუფლების საკითხი დარეგულირებულია კანონით, რომლის მიხედვითაც უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებს წარმოადგენს ისეთი ობიექტური გარემოებები, როგორებიცაა:

- მისი პირადი განცხადება;
- საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა;
- მისი გარდაცვალება, გარდაცვლილად გამოცხადება ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება;
- მის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
- უფროსის თანამდებობასთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება/საქმიანობის განხორციელება;
- კანონით დადგენილი სხვა შემთხვევები, რომლებიც არ იძლევა ფართო დისკრეციის შესაძლებლობას.

2023 წლის ნოემბერ-დეკემბერში ანტიკორუფციულმა ბიურომ მუშაობა დაიწყო საკანონმდებლო ცვლილებაზე, რომელიც მიზნად ისახავს ევროკომისიის მიერ გაწერილი 9 ნაბიჯისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად, ბიუროს დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის დამატებით გაძლიერებას.

ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ დგინდება ბიუროს უფროსის იმუნიტეტისა და ხელშეუხებლობის საკანონმდებლო გარანტიები. ასევე, ზუსტდება ბიუროს უფროსის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი - ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის თანამდებობასთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავებასა ან ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით. ამასთანავე, უქმდება ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ის საფუძველი, რომელიც დაკავშირებულია ნარკოტიკული საშუალების მოხმარებასა და სავალდებულო ნარკოლოგიური შემოწმების გავლისთვის თავის არიდებასთან.

5. სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიური წრეების ჩართულობა

სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა ბიუროს საქმიანობის ყველა ეტაპზე გარანტირებულია კანონით. კერძოდ, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები მონაწილეობენ არა მხოლოდ ბიუროს უფროსის კანდიდატის შერჩევაში, არამედ

თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის პროცესში, დამოუკიდებელი კომისიის მეშვეობით.

❖ **დამოუკიდებელი კომისია:**

თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის მიზნებისთვის შერჩევის პროცესს ბიურო ახორციელებს სამი განსხვავებული მექანიზმის მეშვეობით:

- მონიტორინგს დაქვემდებარებული თანამდებობის პირების შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ადამიანის ზემოქმედებისაგან/ჩარევისაგან დაცული ელექტრონული სისტემის გზით;
- მონიტორინგს დაქვემდებარებული თანამდებობის პირების შერჩევით დამოუკიდებელი კომისიის მიერ;
- დასაბუთებული განცხადებების საფუძველზე;

დამოუკიდებელი კომისიის ფორმირება ხდება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებისაგან. 2023 წლის დეკემბერში დაკომპლექტებული დამოუკიდებელი კომისია შედგება 5 წევრისაგან, რომელთაგანაც 3 წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციას (ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, ა(ა)იპ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია) და 2 აკადემიურ წრეს (სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

დამოუკიდებელი კომისიის შერჩევის საფუძველზე, 2024 წელს სავალდებულო შემოწმებას დაექვემდებარება 300 თანამდებობის პირი, მათ შორის 150 სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირი.

❖ **აკადემიური საბჭო:**

ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის ინიციატივით, ბიუროს საქმიანობის მხარდასაჭერად შეიქმნა აკადემიური საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია აკადემიური წრეებისა და სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლებით.

აკადემიური საბჭოს მიზნებია: უფლებამოსილებების ფარგლებში მოიძიოს საუკეთესო პრაქტიკები, ხელი შეუწყოს ბიუროს თანამშრომლობას საერთაშორისოდ აღიარებულ უნივერსიტეტებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ასევე შეიმუშაოს რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს ანტიკორუფციული ბიუროს საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას.

6. ბიუროს შიდა სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება

ანტიკორუფციული ბიუროს უფლებამოსილებათა ეფექტიანად განხორციელებისათვის, საქმიანობის სტრუქტურირებული და სისტემური მიდგომებით წარმართვისთვის მნიშვნელოვანია გრძელვადიანი მიზნებისა და ხედვების ჩამოყალიბება.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ევროპის საბჭოს პროექტის „საქართველოში კორუფციის, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციისა და ბრძოლის ინსტიტუციური და ოპერატიული ჩარჩოების კონსოლიდაცია და გაძლიერება“ (ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამა „პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“) ფარგლებში, დაიგეგმა ბიუროს შიდა სტრატეგიის მომზადების სამუშაო პროცესი.

სამუშაო პროცესის პირველი ნაწილის ფარგლებში, 2023 წლის ივლისი-სექტემბრის პერიოდში, გაიმართა შეხვედრები ევროპის საბჭოს მიერ მოწვეულ ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან.

შეხვედრებისა და ბიუროს მიერ წერილობით მიწოდებული ხედვებისა და მიზნების საფუძველზე, ევროპის საბჭოს ექსპერტის მიერ მომზადდა ტექნიკური დოკუმენტი - „საქართველოს ანტიკორუფციული ბიუროს ინსტიტუციური განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროექტის წინადადება“.

აღსანიშნავია, რომ შიდა სტრატეგიის დოკუმენტზე მუშაობის პირველი ნაწილის დასრულების შემდგომ, განხორციელდა ცვლილებები ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის 2023 წლის 08 მარტის №1 ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ანტიკორუფციული ბიუროს დებულებაში“.

ცვლილებათა საფუძველზე, შეიცვალა ბიუროს სტრუქტურა და რამდენიმე დეპარტამენტის საქმიანობის მიმართულებები. ევროპის საბჭოს აქტიური მხარდაჭერით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ბიუროს შიდა სტრატეგიის დოკუმენტზე მუშაობის მეორე ეტაპი.

7. ანტიკორუფციული ბიუროს ჩართულობა ევროინტეგრაციის ეროვნულ მექანიზმებში

7.1. საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამოქმედო გეგმა

ანტიკორუფციული ბიურო ჩართულია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განხორციელებაში.

ევროინტეგრაციის გზაზე ანტიკორუფციული ბიუროს შექმნის მნიშვნელობას კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ევროკომისიის 2023 წლის 8 ნოემბერს საქართველოს შესახებ გამოქვეყნებულ დადებით ანგარიშში.[3]

ევროპული საბჭოს 2023 წლის 14 დეკემბერის გადაწყვეტილებით საქართველოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიენიჭა, ხოლო ევროკომისიამ განსაზღვრა 9 ნაბიჯი, რომელთა შესრულების შემდეგაც დაიწყება ევროკავშირში ინტეგრაციის შესახებ მოლაპარაკებები. აღნიშნული ნაბიჯებიდან მე-7 ეხება ანტიკორუფციული ბიუროს ინსტიტუციური გაძლიერებისა და ეფექტიანობის გაზრდის მნიშვნელობას.

2023 წლის 27 ნოემბერს ევროინტეგრაციის სამთავრობო კომისიის მიერ დამტკიცდა სამთავრობო გეგმა „ევროკომისიის 2023 წლის გაფართოების პოლიტიკის შესახებ კომუნიკაციაში საქართველოსთვის განსაზღვრული ნაბიჯების განსახორციელებელი ღონისძიებების“ თაობაზე,[4] სადაც ასევე ხაზგასმულია ანტიკორუფციული ბიუროს ინსტიტუციური გაძლიერების მნიშვნელობა. ამ მიზნით, მიმდინარეობს შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობა.

2023 წლის აპრილში წარდგენილ იქნა ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას ანტიკორუფციული მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებზე.

2023 წლის ივლისში, ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის პირველი მოადგილე დაესწრო საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის მე-8 სხდომას, სადაც გაჟღერდა ახლადშექმნილი ბიუროს დაარსების შესახებ ინფორმაცია, მისი ფუნქციები, მიზნები და ამოცანები.

2023 წლის სექტემბერში, ბიურომ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის მე-8 სხდომაზე მიღებული სამოქმედო დასკვნების პროექტზე, კომპეტენციის ფარგლებში, წარადგინა შენიშვნები და მოსაზრებები.

2023 წლის ოქტომბერში, ევროკომისიის 12 პრიორიტეტის შესრულების ანგარიშის მომზადების ფარგლებში, ბიურომ დამატებითი დეტალური ანგარიში წარადგინა ბიუროს საქმიანობისა და განხორციელებული აქტივობების შესახებ. დამატებით გაიგზავნა ინფორმაცია ბიუროს საქმიანობაში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ფორმატის შესახებ.

აღნიშნულ ვალდებულებებთან დაკავშირებული ღონისძიებების გამჭვირვალობისა და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ფუნქციონირებს ვებ-პორტალი aa-monitoring.ge, სადაც შესაბამისი უწყებები განათავსებენ ინფორმაციას იმ

[3] ხელმისაწვდომია: https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/georgia-report-2023_en
[4] ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/files/288_86884_123528_ActionPlanforEUs9steps.pdf

რეფორმებისა და ღონისძიებების შესახებ, რომლებიც უკავშირდება ასოცირების შეთანხმების ეროვნული სამოქმედო გეგმების განხორციელებას.

ბიუროს ასევე შემუშავებული და წარდგენილი აქვს 2024 წელს განსახორციელებელი ღონისძიებებისა და აქტივობების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- **კეთილსინდისიერების მექანიზმების გაუმჯობესება:** ანტიკორუფციული ბიუროს მიერ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება;

- **კორუფციასთან ბრძოლის გაუმჯობესება როგორც აღმასრულებელი, ისე პრევენციული საშუალებებით:** კორუფციის პრევენციის მიზნით, კორუფციასთან დაკავშირებულ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ორგანოებში საინფორმაციო შეხვედრების გამართვა; ანტიკორუფციული ბიუროს თანამშრომელთა პროფესიული განვითარება; პარტნიორი ქვეყნების შესაბამის უწყებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში, კორუფციის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე თანამშრომლობის გაგრძელება; ინტერესთა კონფლიქტების დეკლარაციის ფორმის შემუშავება;

- **კორუფციასთან ბრძოლის გაგრძელებისა და შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების ეფექტური განხორციელება:** კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) მონიტორინგის პროცესის კოორდინაციის უზრუნველყოფა;

- **ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავება და ეფექტიანი იმპლემენტაცია:** ანტიკორუფციული პოლიტიკის დოკუმენტების (ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის დოკუმენტისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის) შემუშავება.

7.2. საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) სამოქმედო გეგმა

ეფექტიანი მმართველობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების განმტკიცების მიზნით, ევროპული საჯარო მმართველობის პრინციპების შესაბამისად, საქართველოში 2015 წლიდან მოქმედებს საჯარო მმართველობის რეფორმა.

აღნიშნული რეფორმის ფარგლებში, ანგარიშვალდებულების მიმართულების მიზანია ანტიკორუფციული გარემოს გაუმჯობესების მხარდაჭერა და ღიაობისა და გამჭვირვალობის ხარისხის გაუმჯობესება. ანგარიშვალდებულება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს დემოკრატიული პრინციპების გაძლიერებაში და ზრდის სამოქალაქო საზოგადოების ნდობას.

უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წელს საჯარო მმართველობის რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის საქართველოს მთავრობისთვის წარდგენის დროისთვის არ იყო

დასრულებული ანტიკორუფციული ბიუროს დაკომპლექტების პროცესი. შესაბამისად, ანტიკორუფციული ბიუროს მანდატის ფარგლებში გათვალისწინებული 6 აქტივობის განხორციელების ვადები დაზუსტდა 2023 წლის ოქტომბერში.

მიუხედავად იმისა, რომ ანტიკორუფციული ბიუროს მანდატი სრულად მხოლოდ 2023 წლის პირველი სექტემბრიდან ამოქმედდა, 2023 წლის ოქტომბერში ბიუროს მიერ PAR-ის სამდივნოს წარედგინა ინფორმაცია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებზე. ამასთან, განახლებული ვადების გათვალისწინებით და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, ბიურო აგრძელებს შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესასრულებლად.

7.3. მდგრადი განვითარების დღის წესრიგი

საქართველო, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი, მონაწილეობს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაშიც. გაეროს წევრმა ქვეყნებმა 2015 წელს შეიმუშავეს მდგრადი განვითარების 17 მიზანი, რომლებიც ემსახურება სიღარიბის აღმოფხვრას, თანასწორობისა და სამართლიანობის მიზნების მიღწევას 2030 წლამდე. ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიით განსაზღვრული პრიორიტეტები შესაბამისობაშია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნებთან, უფრო კონკრეტულად კი ემსახურება მე-16 მიზნის იმპლემენტაციას, რაც გულისხმობს ღია და ანგარიშვალდებული საჯარო ადმინისტრაციების შექმნას მულტისექტორული თანამშრომლობის მეშვეობით.

მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტის (SDG) მიზანია მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ეროვნული პოლიტიკის დანერგვა.

მდგრადი განვითარების დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი გლობალური ამოცანები და მათი ნაციონალიზაციისა და კოორდინაციის პროცესი, ამ ამოცანების შესრულების ინდიკატორები და შესასრულებელი ამოცანების წამყვანი უწყებები.

SDG-ს ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს კორუფციისა და მექრთამეობის ყველა ფორმის მნიშვნელოვნად შემცირება. ამ მიმართულებით, ანტიკორუფციული ბიურო მუშაობს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე.

ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის მომზადება იგეგმება შესაბამის სექტორებში არსებული კორუფციული რისკების შეფასების საფუძველზე, რაც მნიშვნელოვანია ყველა პოტენციური რისკის გამოვლენისა და დაზღვევისთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ბიუროს მანდატი ფარავს როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორსაც, შესაბამისად, ორივე სექტორში არსებული რისკები იქნება გათვალისწინებული.

7.4. მთავრობის ხედვა 2030

2023 წელს საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა საქართველოს განვითარების სტრატეგია – გრძელვადიანი პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მთავრობის ერთიან ხედვას წარმოადგენს და მდგრადი განვითარების ყველა ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებას აერთიანებს. სტრატეგია შემუშავებულია მტკიცებულებებზე დაფუძნებული და შედეგებზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმოების პრინციპების შესაბამისად. სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების უწყებათაშორისი კოორდინაციის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობის №154 დადგენილებით შეიქმნა ქვეყნის განვითარების და რეფორმების უწყებათაშორისი საბჭო, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით. საბჭოს შემადგენლობაში შედიან მინისტრები, სახელმწიფო მინისტრი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და სხვა შესაბამისი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები. სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებას კოორდინაციას უწევს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია. სტრატეგიის დოკუმენტში მოცემულია თითოეულ სექტორში არსებული სიტუაციისა და იდენტიფიცირებული პრობლემების სიღრმისეული ანალიზი, მათი გამომწვევი ფაქტორები და აღნიშნულ პრობლემათა გადაჭრისთვის დასახული მიზნები და ამოცანები, ასევე განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო.[5]

მონიტორინგის ჩარჩო-დოკუმენტის მე-4 მიმართულება ეხება სახელმწიფო მმართველობას, რომლის ერთ-ერთ ამოცანად განსაზღვრულია მთავრობის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაძლიერება. აღნიშნული ამოცანის ერთ-ერთი მთავარ ინდიკატორს წარმოადგენს კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების დონე. ანტიკორუფციული ბიურო, როგორც მაკოორდინირებელი ორგანო, აქტიურად თანამშრომლობს როგორც შიდა უწყებებთან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან. საქართველოს შესრულებული აქვს GRECO-ს რეკომენდაციების უმრავლესობა. დარჩენილ რეკომენდაციებთან დაკავშირებით მიმდინარეობს შესაბამისი კოორდინაცია.[6]

8. ანტიკორუფციული ბიურო, როგორ ეროვნული კოორდინატორი

კანონის თანახმად, ანტიკორუფციული ბიურო არის საერთაშორისო ანტიკორუფციულ საკითხებში საქართველოს ეროვნული კოორდინატორი.

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ანტიკორუფციული ბიუროს მონაწილეობა კორუფციის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის (UNCAC) წევრ სახელმწიფოთა მე-10 კონფერენციაზე (COSP 10), რომელიც გაიმართა 2023 წლის 9-15 დეკემბერს, ქალაქ ატლანტაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. საქართველოს სახელმწიფო დელეგაციას

[5] ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგია, ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/index.php?lang_id=-&sec_id=428&info_id=85680

[6] GRECO-თან ანგარიშგების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ანგარიშის შესაბამის ქვეთავში;

ხელმძღვანელობდა ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი. აღსანიშნავია, რომ კონვენცია წარმოადგენს ერთადერთ საერთაშორისო ინსტრუმენტს, რომელსაც გააჩნია უნივერსალური იურისდიქცია მთელი მსოფლიოს მასშტაბით. კონფერენციის მიმდინარეობისას ხაზი გაესვა გამჭვირვალობის პრინციპის განმტკიცებასა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაზრდას კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

2023 წლის 9 და 10 დეკემბერს, ბიუროს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს აკადემიურ სიმპოზიუმში, რომელიც აერთიანებდა მსოფლიოს 100-ზე მეტი წამყვანი უნივერსიტეტისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს.

2023 წლის, 10-დან 15 დეკემბრის ჩათვლით, ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის თავმჯდომარეობით, საქართველოს დელეგაციამ საერთაშორისო გამოცდილების გაცვლისა და საუკეთესო პრაქტიკის მოძიების კუთხით გამართა 14 სამუშაო შეხვედრა სხვადასხვა ქვეყნის ანტიკორუფციული უწყების წარმომადგენლებთან და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მათ შორის, რუმინეთის, ლიეტუვის, ტაჯიკეთის, კანადის, ჩინეთის, არაბთა გაერთიანებული საამიროების, შვეიცარიის, ფინეთისა და იტალიის წარმომადგენლებთან.

9. ბიუროს აქტიურობა საერთაშორისო ანტიკორუფციულ ქსელებში

9.1. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპელ პარტნიორთა ქსელი (EPAC)

საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის დემოკრატიულ და ეკონომიკურ განვითარებასა და ზოგადად, კორუფციასთან ბრძოლის პროცესში.

შესაბამისად, კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ ორგანიზაციებში გაწევრიანება და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება, ანტიკორუფციული ბიუროს ერთ-ერთ პრიორიტეტად არის მიჩნეული.

2023 წლის 3 ნოემბერს, ბიურო „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპელ პარტნიორთა ქსელის“ (The European Partners against Corruption/EPAC) წევრი გახდა. ქალაქ დუბლინში, 22-ე ყოველწლიურ გენერალურ ასამბლეაზე, საქართველოს ანტიკორუფციული ბიუროს ქსელში გაწევრიანებას ორგანიზაციის ყველა წევრმა მხარი დაუჭირა.

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპელ პარტნიორთა ქსელი“ (The European Partners against Corruption/EPAC) 2004 წელს დაარსდა. იგი დამოუკიდებელ, არაფორმალურ გაერთიანებას წარმოადგენს, რომელიც ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების ანტიკორუფციულ და საპოლიციო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამოცზე მეტ სამსახურს აერთიანებს. ეს არის დამოუკიდებელი ფორუმი, რომელიც აერთიანებს პრაქტიკოსებს კორუფციის პრევენციის/წინააღმდეგ ბრძოლის საერთო მიზნებისთვის. ორგანიზაციის წევრები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და ცდილობენ შეიმუშაონ

ან/და გააუმჯობესონ როგორც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივი მიდგომები და სტანდარტები, ასევე მაღალი პროფესიული სტანდარტები.

9.2. კეთილსინდისიერების ქსელი (INAI)

2023 წლის 5 დეკემბერს, ანტიკორუფციული ბიურო „კეთილსინდისიერების საერთაშორისო ქსელში“ (Network for Integrity) გაწევრიანდა. ქალაქ მეხიკოში გამართულ ქსელის სამიტზე საქართველოს ანტიკორუფციული ბიუროს ქსელში გაწევრიანებას ორგანიზაციის ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი.

„კეთილსინდისიერების საერთაშორისო ქსელი“ აქტიურად ფუნქციონირებს 2017 წლიდან და აერთიანებს 16 ქვეყნის, მათ შორის ევროპის 9 ქვეყნის ანტიკორუფციულ უწყებებს. ქსელი ანტიკორუფციული ბიუროსთვის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების, მაღალი პროფესიული სტანდარტების შემუშავებისა და დანერგვის მნიშვნელოვან შესაძლებლობას წარმოადგენს.

II. ბიუროს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

10. ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება

10.1. ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის შემუშავების უფლებამოსილება

კანონის 20[15] მუხლის შესაბამისად, ანტიკორუფციული ბიუროს საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგადი პოლიტიკის განსაზღვრასთან დაკავშირებული წინადადებების, ასევე, საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება. ამასთან, ბიურო ზემოაღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტების შესრულების მიზნით კოორდინაციას უწევს შესაბამისი ორგანოების, ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირების საქმიანობას.

ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის 2023 წლის 08 მარტის №1 ბრძანებით დამტკიცებული ბიუროს დებულებით შემუშავდა ბიუროს სტრუქტურა, სადაც ცალკე ერთეულის სახით შეიქმნა ანტიკორუფციული პოლიტიკის დეპარტამენტი. დეპარტამენტის უფლებამოსილებებია როგორც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგადი პოლიტიკის განსაზღვრასთან დაკავშირებული წინადადებების წარდგენა, ისე საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავება.

ბიუროს სისტემაში დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის სახით შეიქმნა ასევე მხილების, ინტერესთა შეუთავსებლობისა და რისკების შეფასების დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია კორუფციული რისკების შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებაზე,

შესაბამის უწყებებთან კოორდინაციისა და რისკების შეფასებასთან დაკავშირებული პროცესების მართვაზე.

10.2. საუკეთესო პრაქტიკის მოძიება და მიმდინარე გამოწვევების სიტუაციური ანალიზი

ანტიკორუფციული ბიუროს საქმიანობის საწყის ეტაპზე, ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის ყოვლისმომცველი ბუნებიდან გამომდინარე, ბიურომ ჩაატარა ის ძირითადი სამუშაოები და კვლევები, რაც საფუძვლად უნდა დაედოს ეფექტიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

პრაქტიკის განზოგადება მოიაზრება პოლიტიკის დოკუმენტის სიტუაციური ანალიზის ნაწილად. ამისათვის შეიქმნა სამუშაო ჯგუფები. ჩატარებული კვლევებისა და მოპოვებული მტკიცებულებების, ასევე პრაქტიკის განზოგადებისა და სახელმწიფო უწყებების მხრიდან შევსებული კითხვარების საფუძველზე იდენტიფიცირებულ იქნება ის სტრატეგიული მიმართულებები, რომელსაც დაეფუძნება ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია.

სამუშაო ჯგუფების მიერ შესწავლილ იქნა ანტიკორუფციული მიმართულებით მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის მიმართულებები და მონიტორინგის მეთოდოლოგიები. აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორებიცაა UNODC, GRECO, MONEYVAL, საქართველოსთან თანამშრომლობის ეტაპები, დამუშავდა მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები და მომზადდა შესაბამისი დასკვნები.

განხორციელდა ევროპის ქვეყნებში ანტიკორუფციული მექანიზმების კვლევა და შედარებით-სამართლებრივ ჭრილში მიმოხილულ იქნა ანტიკორუფციული უწყებების შესახებ ინფორმაცია, მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და პრევენციული ფუნქციები. ასევე, დამუშავდა წამყვანი ქვეყნების (მათ შორის, აშშ და დიდი ბრიტანეთი) ანტიკორუფციული სტრატეგიები და მათი აღსრულების მექანიზმები.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 13 აპრილს, ანტიკორუფციული ბიუროს ინიციატივით, ბიუროს საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნა მრჩეველთა საბჭო, რომელშიც გაერთიანებულნი არიან აკადემიური წრის წარმომადგენლები, მათ შორის, პროფესორები, მეცნიერები და ექსპერტები. საბჭოს ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება ანტიკორუფციული პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე აკადემიური წრეებისა და სამეცნიერო საზოგადოების აქტიური ჩართულობა. მრჩეველთა საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და დასკვნები საფუძვლად დაედება ანტიკორუფციული პოლიტიკის შექმნას.

საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციულ სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყების პარალელურად, ბიუროს ხელმძღვანელობამ გამართა სამუშაო შეხვედრები უწყებათაშორისი ანტიკორუფციული საბჭოს წევრ თითქმის ყველა სახელმწიფო უწყებასთან. შეხვედრების ფარგლებში,

განისაზღვრა სამომავლო უწყებათაშორისი თანამშრომლობის ასპექტები ეროვნული ანტიკორუფციული პოლიტიკის დოკუმენტებზე მუშაობის მიმართულებით.

2023 წლის 6-8 დეკემბერს, ბიუროს წარმომადგენლებმა სამუშაო შეხვედრები გამართეს აბაშისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ორგანოების თანამშრომლებთან. შეხვედრები განხორციელდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა (GIZ) და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) პროექტის „კარგი ფინანსური მმართველობა ადგილობრივ დონეზე საქართველოში“ (GFG) მხარდაჭერით.

შეხვედრები ემსახურებოდა ანტიკორუფციული პოლიტიკის მიმართულებით ბიუროს ხედვისა და გეგმების გაცნობას, მუნიციპალიტეტებში არსებული საჭიროებების კვლევასა და სამომავლო თანამშრომლობის გეგმების დასახვას. დაგეგმილია სხვა მუნიციპალიტეტებთან მსგავსი ხასიათის შეხვედრების ციკლი.

საერთაშორისო პარტნიორების აქტიური მხარდაჭერითა და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, საანგარიშო წლის განმავლობაში დაიწყო და დღემდე მიმდინარეა ბიუროს თანამშრომელთა გადამზადების პროცესი პოლიტიკის დოკუმენტებზე მუშაობის მიმართულებით.

2023 წლის 23-25 სექტემბერს ევროკავშირის პროექტის „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში გაიმართა ტრენინგები და სამუშაო შეხვედრა კეთილსინდისიერებისა და ინტერესთა კონფლიქტის მართვის თემაზე. შეხვედრების დროს განხილულ იქნა კეთილსინდისიერებისა და ეთიკის საკითხები და ამ სფეროში არსებული ხარვეზები კანონმდებლობაში.

ბიუროს ინიციატივით შემუშავდა ანტიკორუფციული მიმართულებით საერთაშორისო ექსპერტების რეესტრი, რომელიც მოიცავს დეტალურ ინფორმაციას ორმოცზე მეტი საერთაშორისო ექსპერტის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

შერჩეულ ექსპერტთა ნაწილთან წარმატებით განხორციელდა მოლაპარაკებები სამომავლო თანამშრომლობაზე, რაც მიზნად ისახავს არამხოლოდ ბიუროს თანამშრომელთა, არამედ ანტიკორუფციული პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში ჩართული საჯარო მოხელეების გადამზადებასა და პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში მათ ჩართულობას.

პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესი ღიად და გამჭვირვალედ წარიმართება და განხორციელდება როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორთან კონსულტაციები, უზრუნველყოფილ იქნება სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა და პროცესების გაციფროვნება.

10.3. კორუფციული რისკების შეფასება

კანონის თანახმად, ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის მომზადების პროცესის განუყოფელი ნაწილია კორუფციული რისკების შეფასება.

რისკების შეფასების პროცესი უნდა განხორციელდეს არა მხოლოდ ცენტრალურ უწყებებში, არამედ მუნიციპალიტეტებშიც, რათა ეროვნულ ანტიკორუფციულ სტრატეგიასა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულ იქნეს კორუფციის პრევენციის მაქსიმალურად ეფექტიანი მექანიზმები. ეს ვალდებულება ასევე აქტივობის სახით განსაზღვრულია აჯარო მმართველობის რეფორმის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმაშიც, რომელიც ითვალისწინებს კორუფციული რისკების შეფასებას არამხოლოდ ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებში, არამედ მუნიციპალიტეტებშიც.

ამ ფუნქციების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, ბიურომ უკვე გადადგა პირველი ნაბიჯები. საანგარიშო პერიოდის ფარგლებში, ბიუროს მიერ დაწყებულია აქტიური სამუშაოები, კერძოდ: ევროპის საბჭოს მხარდაჭერით და მათივე ექსპერტთან თანამშრომლობით 2023 წლის სექტემბერში შეიქმნა ***ტექნიკური დოკუმენტი სახელწოდებით „საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებში და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში ინსტიტუციური კორუფციული რისკების შეფასების და მართვის სახელმძღვანელო პრინციპები“***. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე, 2023 წლის ბოლოს, ბიურომ დაიწყო მუშაობა კორუფციული რისკების შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებაზე და ეს პროცესი მიმდინარეა.

ახალი მეთოდოლოგიით უნდა გაიმიჯნოს რისკების შეფასების **ორი ფორმა:**

1. თვითშეფასება, რომელსაც ***საჯარო უწყება ახორციელებს თავად,*** სურვილის შემთხვევაში გარე ექსპერტების დახმარებით, მაგრამ საკუთარი ინიციატივით და პასუხისმგებლობით, რასაც სჭირდება შესაბამისი სახელმძღვანელო მეთოდოლოგია;

2. რისკების შეფასება, რომელსაც ***ახორციელებს გარე ორგანო საკუთარი ინიციატივით და პასუხისმგებლობით*** (გარე ორგანოს შეფასება), რაც ასევე საჭიროებს შესაბამის მეთოდოლოგიას.

აღნიშნული წარმოადგენს მნიშვნელოვან სიახლეს ქვეყნისთვის და არსებული რისკების ობიექტურად შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

კორუფციული რისკების შეფასების მიმართულებით, ბიურომ ეტაპობრივად დაიწყო თანამშრომელთა გადამზადება რისკების შეფასების მეთოდოლოგიურ და ტექნიკურ ასპექტებზე. 2023 წლის 27-28 სექტემბერს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით და საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობით, ბიუროს თანამშრომლებისთვის გაიმართა ორდღიანი ტრენერთა ტრენინგი (TOT) კორუფციული რისკების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, სადაც

მონაწილეებმა მიიღეს არამხოლოდ თეორიული ცოდნა, არამედ გაეცნენ პროცესის პრაქტიკულ ნაწილსაც. სამომავლოდ ბიუროს რესურსი მიმართული იქნება ანტიკორუფციული საბჭოს წევრი უწყებების თანამშრომელთა გადამზადებაზე კორუფციული რისკების შეფასების მიმართულებით.

ამავე პერიოდში, ბიუროს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ტრენინგში, რომელიც შეეხებოდა თაღლითობის და კორუფციის რისკების მართვას. აღნიშნული ტრენინგი გაიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ორგანიზებითა და დიდი ბრიტანეთის საელჩოს მხარდაჭერით და შეხვედრას უძღვებოდნენ ბრიტანელი ექსპერტები.

ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელმა გამართა 21 სამუშაო შეხვედრა შემდეგ სახელმწიფო უწყებებთან:

1. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური - 10/05/2023;
2. უწყებათაშორისი საკოორდინაციო შეხვედრა - 12/05/2023;
3. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო -11/05/2023;
4. ცენტრალური საარჩევნო კომისია - 15/05/2023;
5. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური - 18/05/2023;
6. საქართველოს გენერალური პროკურატურა - 22/05/2023;
7. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო - 23/05/2023;
8. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო- 23/05/2023;
9. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - 25/05/2023;
10. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განათლების ცენტრი - 02/06/2023;
11. სახალხო დამცველი - 02/06/2023;
12. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე - 12/06/2023;
13. სსიპ - მედიატორთა ასოციაცია - 12/06/2023;
14. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო - 20/06/2023;
15. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური - 04/11/2023;
16. ეროვნული ბანკი - 05/11/2023;
17. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო - 05/12/2023;
18. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - 05/12/2023;
19. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო - 06/12/2023;
20. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - 06/12/2023;
21. თბილისის მერი - 11/01/2023.

ბიურო მომავალშიც გეგმავს გააგრძელოს შეხვედრები შერჩეულ საჯარო დაწესებულებებსა და მუნიციპალიტეტებში, რომელთა შედეგები აისახება ეროვნულ ანტიკორუფციულ სტრატეგიაში შესაბამისი სექტორული პრიორიტეტების მიზნებისა და ამოცანების სახით.

აღსანიშნავია ასევე, რომ 2023 წლის 19 დეკემბერს, ბიურომ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრთან თანამშრომლობით, გამართა კონფერენცია თემაზე „ანტიკორუფციული გარემოს ხელშეწყობა რისკების შეფასებისა და პრევენციული ღონისძიებების გაძლიერებით“. ღონისძიებას ესწრებოდნენ უწყებათაშორისი ანტიკორუფციული საბჭოს წევრი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტის მერები და შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები. კონფერენციის ფარგლებში მოწვეულმა სტუმრებმა ისაუბრეს კორუფციული რისკების შეფასების არსებულ პრაქტიკაზე, ანტიკორუფციული გარემოს ხელშეწყობასა და პრევენციული მექანიზმების გაძლიერებაზე.

11. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები

11.1. გამოწვევები და გაუმჯობესების საჭიროებები

თანამდებობის პირის მიერ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენა სახელმწიფოს ანტიკორუფციული სტრატეგიისა და კეთილსინდისიერების პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, რაც საჯარო დაწესებულებაში კორუფციის პრევენციასა და მის გამოვლენას უზრუნველყოფს.

1997 წლის 11 ნოემბერს მიღებულ იქნა „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის“ შესახებ საქართველოს კანონი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის დეკლარირების პროცესს.

თავდაპირველად დეკლარაციის წარდგენა წარმოებდა მატერიალური ფორმით (შევსებულ დეკლარაციათა საერთო რაოდენობამ შეადგინა 47 000) და იმ პირთა წრე, რომელთაც ჰქონდათ დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება, იყო შეზღუდული. რაც შეეხება საჯაროობას, შესაძლებელი იყო დეკლარაციის ადგილზე გაცნობა ან/და მისი ასლის გამოთხოვა. საკანონმდებლო ცვლილებების პარალელურად, გაფართოვდა როგორც დეკლარანტ თანამდებობის პირთა წრე, ასევე შეიქმნა დეკლარირების ერთიანი ელექტრონული სისტემა.

2010 წლის პირველი თებერვლიდან მატერიალური ფორმით შევსებული დეკლარაციები ჩაანაცვლა დეკლარირების ელექტრონულმა სისტემამ, რითაც გამარტივდა როგორც დეკლარაციის შევსების პროცესი, ასევე მათი ხელმისაწვდომობა.

2021 წლის 01 ივნისიდან დეკლარირების პროცესის დახვეწის, თანამდებობის პირის იდენტიფიცირების, ასევე ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების სტანდარტების დაცვის მიზნით, განხორციელდა დეკლარირების ერთიანი ელექტრონული სისტემის მოდიფიცირება.

შესაბამისად, თანამდებობის პირის მიერ დეკლარირების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ავტორიზაცია და დეკლარაციის წარდგენა შესაძლებელი გახდა მხოლოდ პირადობის ელექტრონული მოწმობისა (ID ბარათი) და მისი წამკითხველის საშუალებით.

კანონში 2022 წლის 30 ნოემბერს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, ანტიკორუფციულ ბიუროს 2023 წლის 1-ლი სექტემბრიდან დაეკისრა ამავე კანონით განსაზღვრული კონკრეტული ფუნქციები, მათ შორის, კანონის შესაბამისად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მიღების, მისი შევსებისა და ჩაბარების კონტროლის, მისი შენახვის, საჯაროობის, მონიტორინგისა და ამ სფეროში სხვა სათანადო ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა.

სიტუაციური ანალიზის ფარგლებში, ანტიკორუფციულმა ბიურომ შეისწავლა საფრანგეთის, ლიეტუვის, სლოვენიის, რუმინეთისა და აშშ-ის საუკეთესო პრაქტიკა, რის საფუძველზეც მოხდა დეკლარირების სისტემაში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება.

ანალიზის შედეგად გამოირკვა, რომ ხშირ შემთხვევაში დეკლარაციებში დადგენილი დარღვევების უმრავლესობა უკავშირდებოდა ტექნიკურ უზუსტობას.

ამ მიზნით 2023 წლის ნოემბერიდან ანტიკორუფციულმა ბიურომ, საქართველოს პარლამენტთან კოორდინაციით, დაიწყო საკანონმდებლო რეფორმაზე მუშაობა დეკლარირების პროცესის ეფექტიანობისა და სიზუსტის გასაუმჯობესებლად.

დაგეგმილი ცვლილებებით დეკლარაციის გამოქვეყნებისთვის კანონით განსაზღვრული 48 საათი გახანგრძლივდება 1 თვემდე (დამატებით 1 თვით ვადის გაგრძელების შესაძლებლობით). კერძოდ, კანონის მოქმედი რედაქციით, ანტიკორუფციული ბიურო უფლებამოსილია პირს დეკლარაციის შევსებისთვის კანონით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში განუსაზღვროს დამატებით 48-საათიანი ვადა დეკლარაციაში შეტანილი მონაცემების რედაქტირებისთვის.

ბიუროს მიერ წარმოებული სიტუაციური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მიზანშეწონილია, დეკლარაციების რედაქტირების ვადა (48 საათი) გახანგრძლივდეს შემდეგი მიზეზების გამო:

დეკლარაციების ხარვეზების აბსოლუტური უმრავლესობა ტექნიკური ხასიათისაა, ხოლო გამორჩენილი ან დაუზუსტებელი ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში ისედაც ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის (მაგ.: საჯარო რეესტრის მეშვეობით).

აქვე უნდა აღინიშნოს თანამდებობის პირის დეკლარაციის შევსების მიზანი, რომელიც მდგომარეობს თითოეული თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში სრული და სწორი მონაცემების საჯაროობის უზრუნველყოფაში, რომელიც მიიღწევა მხოლოდ თანამდებობის პირის მიერ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, დეკლარაციის შევსებისა და წარმოდგენის პირობებში.

თანამდებობის პირის მიერ წარმოდგენილი დეკლარაცია ქვეყნდება ანტიკორუფციული ბიუროს ვებ-გვერდზე და შესაბამისად, ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ უტყუარი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. არაარსებითი, ტექნიკური ხარვეზით გამოქვეყნებული დეკლარაციების რაოდენობა უარყოფითად მოქმედებს საზოგადოებრივ ნდობაზე და ასევე, ვერ ასრულებს საზოგადოების ეფექტიანი ინფორმირების მიზანს.

გამჭვირვალობის პრინციპის არსი საზოგადოებისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდებაში მდგომარეობს. დეკლარირების პროცესის მიზანს უნდა წარმოადგენდეს არსებითი კანონდარღვევის გამომჟღავნება და არა ტექნიკური ხარვეზების გასწორება, რაც მნიშვნელოვნად დაზოგავს რესურსსაც, რაც თავის მხრივ გაზრდის მონიტორინგის მექანიზმის ეფექტიანობას და ხარისხს.

დაგეგმილი ცვლილებებით აღნიშნული ვადა (48 საათი) გახანგრძლივდება 1 თვემდე, ხოლო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისთვის, ასევე საქმის სირთულის, მოცულობისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით, კანონმდებლობის შესაბამისად, ბიუროს უფროსს მიენიჭება უფლებამოსილება, ხარვეზის გამოსასწორებლად განსაზღვროს დამატებით 1 თვის ვადა.

ცვლილებების შესაბამისად, პირველ ეტაპზე ბიურო შეამოწმებს დეკლარაციის ფორმალურ სისწორეს, რა დროსაც განისაზღვრება თუ რამდენად აკმაყოფილებს შევსებული დეკლარაცია ფორმალურ კრიტერიუმებს. აღნიშნულის გადამოწმება ხორციელდება ბიუროსთვის ხელმისაწვდომი საჯარო დაწესებულებების მიერ ადმინისტრირებული ელექტრონულ მონაცემთა ბაზების საშუალებით. იმ შემთხვევაში, თუ დეკლარაცია არ დააკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმებს და პირი მისთვის განსაზღვრულ ვადაში (1 თვე) არ აღმოფხვრის ხარვეზს, ის დაჯარიმდება, ხოლო დეკლარაცია ავტომატურად დაექვემდებარება მონიტორინგს, რაც არ გამორიცხავს მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი სხვა სამართალდარღვევისთვის პირის დაჯარიმებას. თუ წარმოების ფარგლებში დადგინდება პირის მხრიდან განზრახ არასწორი მონაცემების წარდგენა ან შესაბამისი ინფორმაციის დამალვა, სისხლისსამართლებრივი გამოძიებისთვის საქმე გადაეცემა შესაბამის ორგანოებს.

11.2. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის უზრუნველყოფა

❖ **დეკლარაციის წარდგენის მიზნებია:**

- ქონების შეძენის კანონიერებისა და კეთილსინდისიერების კონტროლი;
- სამსახურებრივი და ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევების გამოვლენა და პრევენცია;

- ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის თაობაზე ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- ანგარიშვალდებულება საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე და საზოგადოებრივი ნდობის მოპოვება.

❖ დეკლარაციის წარდგენის ვალდებულების მქონე პირთა წრე

იმ თანამდებობების ჩამონათვალი, რომლებიც ვალდებულნი არიან, შეავსონ და წარადგინონ დეკლარაცია, განსაზღვრულია კანონის მე-2 მუხლით და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის №178 დადგენილებით „თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“.

ანტიკორუფციული ბიურო აქტიურად მუშაობს დეკლარირების პროცესის ეტაპობრივ დახვეწასა და თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირების მიზნებზე ორიენტირებული სისტემის შექმნაზე.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი იყო 2023 წლის 16 მაისს კანონის მე-2 მუხლში განხორციელებული ცვლილება, რომლის შესაბამისად, თანამდებობის პირთა ჩამონათვალს დაემატა პროკურორები, სულ 371 პირი.

დღევანდელი მონაცემებით, თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება აქვს 6 720 პირს. მათ შორის არიან როგორც თანამდებობის პირები, ასევე საქართველოს პარლამენტის წევრები, მოსამართლეები და პროკურორები.



❖ დეკლარაციის წარდგენის ვადები

კანონის მე-14 მუხლი განსაზღვრავს კონკრეტულ ვადებს დეკლარაციის წარსადგენად:

პირი დეკლარაციას წარადგენს	**პერიოდი**
თანამდებობაზე განწესებისას	განწესებიდან 2 თვის ვადაში.
თანამდებობის პირის ფუნქციების დროებით დაკისრებისას (2 თვეზე მეტი ვადით)	დროებითი ფუნქციების დაკისრებიდან 2 თვის ვადაში.
თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში	ყოველწლიურად, წინა დეკლარაციის შევსების თვის შესაბამისი თვის განმავლობაში.
თანამდებობიდან გათავისუფლებისას	ა) გათავისუფლებიდან 2 თვის ვადაში; ბ) გათავისუფლების მომდევნო წელს, წინა დეკლარაციის შევსების თვის შესაბამისი, იმავე თვის განმავლობაში
საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციისას	რეგისტრაციიდან 1 კვირის ვადაში.
მოსამართლეობის კანდიდატი რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობისას	„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-5^2 პუნქტით დადგენილ ვადაში.
საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის წარდგენილი კანდიდატი	„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული საჩივრის განხილვის ვადის გასვლიდან 3 სამუშაო დღეში.

აღსანიშნავია, რომ კონკრეტული თანამდებობის პირების მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება აქვს ამ თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატებს, რათა მათი ქონებრივი მდგომარეობა თანამდებობის დაკავებამდე გახდეს ცნობილი, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კანდიდატის ამ თანამდებობაზე განწესების პროცესზე.

მოსამართლეობის კანდიდატის დეკლარაცია ივსება ელექტრონული ფორმით და თანამდებობაზე განწესებული პირის მიერ შესავსები დეკლარაციის ფორმის იდენტურია. რაც შეეხება პარლამენტის წევრობის კანდიდატის დეკლარაციას, იგი ივსება მატერიალურად, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი გამარტივებული ფორმით.

უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული პირების შესახებ სიის ანტიკორუფციული ბიუროსთვის მოწოდების ვალდებულება და უფლებამოსილი პირების ფარგლები დასახვეწია.

შემჭიდროვებული ვადების გამო და პირთა ფართო წრის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის დეკლარაციის წარდგენა შესაძლებელი იყოს ელექტრონული ფორმით, რაც გაამარტივებს დეკლარირების პროცესს.

- **დეკლარირების ერთიანი ელექტრონული სისტემა**

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ანტიკორუფციული ბიუროს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირების უზრუნველყოფის დეპარტამენტის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს თანამდებობის პირისთვის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირების ერთიანი ელექტრონული სისტემის ხელმისაწვდომობა, დეკლარაციის კანონით დადგენილ ვადაში წარდგენის კონტროლი, შევსებასთან დაკავშირებით თანამდებობის პირების დახმარება/კონსულტირება, დეკლარაციის მიღება, კანონით დადგენილი წესითა და ვადებში მისი საჯაროობის უზრუნველყოფა და დადგენილ ვადაში წარუდგენლობაზე რეაგირება.

აღნიშნული ამოცანების განხორციელებისა და დეკლარირების პროცესის დაუბრკოლებლად წარმართვის მიზნით, შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებებიდან პირების თანამდებობაზე დანიშვნა/გათავისუფლების შესახებ შემოსული ინფორმაციის საფუძველზე, ხდება ამ ინფორმაციის დეკლარირების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასახვა, თანამდებობის პირებისთვის დეკლარაციის წარდგენისთვის კანონით გათვალისწინებული ვადების დანიშვნა, დეკლარაციის წარდგენისთვის საჭირო რეკვიზიტების მომზადება და თანამდებობის პირებისთვის მიწოდება.

დეკლარირების უზრუნველყოფის დეპარტამენტის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, დეკლარაციის სწორად შევსების მიზნით, თანამდებობის პირისთვის კონსულტაციის გაწევა. დეკლარაციის შევსების პროცესში დეკლარანტს შეუძლია დაუკავშირდეს ანტიკორუფციულ ბიუროს ცხელ ხაზზე ან გამოიყენოს ონლაინ დახმარება და მიიღოს კომპეტენტური პასუხი დეკლარაციის შევსებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე.

2023 წლის განმავლობაში დეპარტამენტის ცხელ ხაზზე დეკლარაციის შევსებასთან დაკავშირებით განხორციელდა 9226 ზარი და ონლაინ დახმარების მეშვეობით ბიუროს მიმართა 733-მა პირმა.



2023 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში ***დეკლარაცია წარადგინა 6982-მა პირმა*** (დანიშვნის ვალდებულებით - 826-მა პირმა, მოქმედმა 5501-მა პირმა და გათავისუფლების ვალდებულებით 137-მა პირმა. ყოფილი-483, დაჯარიმებული-35).

კანონით დადგენილ ვადაში ***დეკლარაცია არ წარადგინა 77-მა პირმა.*** დაჯარიმების შესახებ გამოცემული განკარგულება კანონიერ ძალაში შევიდა 35 შემთხვევაში. ჯარიმის კანონით დადგენილ ვადაში გადაუხდელობისთვის 4 პირის შესახებ მონაცემები გადაეგზავნა სსიპ - აღსრულების ეროვნულ ბიუროს.



ბიურო აქტიურად მუშაობს თანამდებობის პირთა დეკლარირების უზრუნველყოფის შესაბამისი ელექტრონული სისტემის დახვეწაზე.

2023 წლის განმავლობაში რედაქტირების ***შესაძლებლობით ისარგებლა 197-მა პირმა.***

❖ **დეკლარაციების საჯაროობის უზრუნველყოფა**

თანამდებობის პირის დეკლარაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე declaration.acb.gov.ge და ნებისმიერი დაინტერესებულ პირს შეუძლია მისი გაცნობა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია,დეკლარირებული მონაცემების ხელმისაწვდომობის გაზრდა. ამ მიზნით 2023 წლიდან, დეკლარაციების ღია ფორმატში გამოქვეყნების ინიციატივის ფარგლებში განხორციელებული პროგრამული ცვლილების შედეგად, დაინტერესებულ პირთათვის ბიუროს ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული დეკლარაციები, ***გარდა PDF ფორმატისა, ხელმისაწვდომია CSV ფორმატში და API აპლიკაციის პროგრამირების ინტერფეისის საშუალებით.***

საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით და ევროპის ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების გაზიარებით შემუშავდება ტექნიკური დოკუმენტი, სისტემის დახვეწისათვის.

11.3. დეკლარაციების მონიტორინგი

„შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 თებერვლის №81 დადგენილების შესაბამისად დაიწყო თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგი.

დეკლარაციის მონიტორინგის მიზანია თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ მის მიერ დეკლარირებული მონაცემების სისრულისა და სისწორის შემოწმება, ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციულ სამართალდარღვევათა გამოვლენა და პრევენცია.

თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის დაწყების საფუძველია:

- თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების ერთიანი ელექტრონული სისტემის მიერ თანამდებობის პირების შემთხვევითი შერჩევა;
- დასაბუთებული წერილობითი განცხადება;
- ყოველწლიურად შესამოწმებელ თანამდებობის პირებს მიეკუთვნებიან აგრეთვე ბიუროს უფროსის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი კომისიის მიერ შერჩეული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები და განსაკუთრებული ფაქტორების გათვალისწინებით შერჩეული თანამდებობის პირები.

კანონში 2022 წლის 15 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2023 წლის პირველი სექტემბრიდან, თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის განხორციელების უფლებამოსილება მიენიჭა ანტიკორუფციულ ბიუროს.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის პირველ სექტემბრამდე, 2023 წლის 12 იანვარს, სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროში დამოუკიდებელი კომისიის მიერ, მონიტორინგისთვის შერჩეულ იქნა 317 თანამდებობის პირი (თანამდებობის პირთა საერთო რაოდენობის 5%, საიდანაც 1/2 შეირჩა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებიდან, ხოლო 1/2 – განსაკუთრებული ფაქტორების: განსაკუთრებული კორუფციული რისკის, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა და განხორციელებული მონიტორინგით გამოვლენილი დარღვევების გათვალისწინებით).

სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროში, 2023 წლის 23 იანვარს, დეკლარაციის მონიტორინგის ელექტრონული სისტემის მიერ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპის საფუძველზე შერჩეულ იქნა თანამდებობის პირთა საერთო რაოდენობის 5%, ასევე 317 თანამდებობის პირი.

სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროში დასაბუთებული წერილობითი განცხადების საფუძველზე შესული განცხადებებიდან მონიტორინგი დაიწყო 17 თანამდებობის პირზე.

ამრიგად, 2023 წლის პირველ სექტემბრამდე, სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროში მონიტორინგი დაიწყო სულ 500 თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შემოწმების მიზნით (317 ერთიანი ელექტრონული სისტემის საშულებით შერჩეული, 166 დამოუკიდებელი კომისიის მიერ შერჩეული, 17 დასაბუთებული განცხადების საფუძველზე). აქედან, 40 იყო ყოფილი თანამდებობის პირი, ხოლო 27 - საიდუმლო თანამდებობის პირი.

განხორციელებული მონიტორინგის შედეგად შერჩეულთა შორის იყვნენ სხვადასხვა თანამდებობის პირები, მათ შორის: საქართველოს პარლამენტის წევრი - 10, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი - 5, მინისტრი - 7, მინისტრის მოადგილე - 47, მოსამართლე - 56, პროკურატურის - 11 თანამდებობის პირი (გენერალური პროკურორი, 2 მოადგილე), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამდებობის პირი - 65, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამდებობის პირი - 22, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები (საკრებულო - 66, მერია - 67, გამგეობა - 8), ა(ა)იპ ხელმძღვანელი - 11, საჯარო სამართლის იურიდიული პირისა და სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი - 21, შეზრუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელი - 10 და სხვა თანამდებობის პირები.



სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროში 2023 წლის პირველ სექტემბრამდე 500 თანამდებობის პირის მიმართ დაწყებული შემოწმებიდან შედეგით დასრულდა 485 თანამდებობის პირის დეკლარაციის მონიტორინგი. დაჯარიმდა - 109, გაფრთხილდა - 4, დადებითად დასრულდა - 372, შეწყდა - 15. 2 შემთხვევაში გამოვლინდა თანამდებობრივი შეუთავსებლობის ფაქტი.



2023 წლის 1 სექტემბრიდან, წლის ბოლომდე, ანტიკორუფციულ ბიუროში შესამოწმებელი თანამდებობის პირების სრულმა რაოდენობამ შეადგინა - 220. ამასთან, 145 პირი შერჩეულია დამოუკიდებელი კომისიის მიერ, ხოლო 75 პირი - დასაბუთებული განცხადების საფუძველზე (დასაბუთებული განცხადებები წარმოდგენილია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ და მამხილებლების განცხადებებით).

შერჩეულ პირთა შორის არიან, მათ შორის: საქართველოს პრემიერ-მინისტრი, 9 მინისტრი, 13 მინისტრის მოადგილე, 68 საქართველოს პარლამენტის წევრი, 5 მოსამართლე, 2 პროკურორი, 2 ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

ანტიკორუფციულ ბიუროში, დეკლარაციების მონიტორინგის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებები მიმდინარეა და შედეგები აისახება 2024 წლის ანგარიშში.

2023 წლის განმავლობაში უარყოფითად შეფასებული თანამდებობის პირების დეკლარაციების შეფასების კრიტერიუმები შემდეგნაირად გადანაწილდა - 113 უარყოფითად (109 დაჯარიმება, 4 გაფრთხილება) შეფასებული დეკლარაციიდან:

- 38%-ს დარღვევა ჰქონდა უძრავი ქონების ნაწილში, სადაც გამორჩენილი იყო უძრავი ქონება ან/და არასწორად იყო მითითებული უძრავი ქონების რეალური ფართი;
- 68%-ის შემთხვევებში არასწორად ან/და შეცდომით სხვა თარიღის მონაცემით იყო მითითებული საბანკო ანგარიშზე არსებული ნაშთი, ასევე არ იყო მითითებული მულტისავალუტო ანგარიშების შემთხვევაში სხვა ვალუტის ანგარიშები ან/და მითითებული არ იყო საბანკო ანგარიშები;
- 29%-ის დეკლარაციაში არ იყო ასახული ინფორმაცია თანამდებობის პირის ან/და ოჯახის წევრის სამეწარმეო საქმიანობის შესახებ;
- 64%-ს არ ჰქონდა სწორად დაანგარიშებული ხელშეკრულებით მიღებული მატერიალური შედეგი, ან არ იყო დეკლარირებული ხელშეკრულება, რომლის ღირებულებაც აღემატება კანონმდებლობით დადგენილ დეკლარირებისათვის სავალდებულო ზღვარს;
- 64%-ს დარღვევა ჰქონდა საანგარიშო პერიოდში მისი და მისი ოჯახის წევრის მიერ მიღებული შემოსავლის არასწორად დეკლარირების გამო;
- 81% დეკლარაციების უარყოფითად შეფასდა ოჯახის წევრების მონაცემების არასწორად მითითების გამო;
- 8% თანამდებობის პირების დეკლარაციების უარყოფითად შეფასება განაპირობა მათ მიერ დოკუმენტაციის კანონით დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობამ.[7]

მონიტორინგის ფარგლებში სრულყოფილად იქნა შესწავლილი შერჩეულ თანამდებობის პირთა დეკლარაციები, მოხდა მათი შედარება სახელმწიფო დაწესებულებების მიერ ადმინისტრირებულ ელექტრონულ ბაზებში დაცულ მონაცემებთან და თანამდებობის პირების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან, რის შედეგადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თითოეულ თანამდებობის პირზე ჩატარებული წარმოების ფარგლებში.

2023 წელს, შემოწმებულ თანამდებობის პირთა შორის მონიტორინგი განხორციელდა 27 საიდუმლო თანამდებობის პირზე, საიდანაც:

- დადებითად შეფასდა - 19 საიდუმლო თანამდებობის პირის დეკლარაცია;
- დაჯარიმდა - 8 საიდუმლო თანამდებობის პირი.

[7] დეკლარაციათა უმეტეს ნაწილში ფიქსირდებოდა აღნიშნული დარღვევების ერთობლიობა და დეკლარაცია უარყოფითად ფასდებოდა მასში სხვადასხვა მონაცემის არასწორად დაფიქსირების გამო.

2023 წლის 8 დეკემბერს, შესამოწმებელ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შერჩევის მიზნით შეიქმნა დამოუკიდებელი კომისია, რომელმაც განახორციელებს 2024 წლისთვის შესამოწმებელი დეკლარაციების შერჩევას კანონით დადგენილი წესით.

- **სასამართლო წარმოება**

ანტიკორუფციული ბიურო 2023 წლის 1 სექტემბრიდან მონაწილეობს სასამართლოს წარმოებაში არსებულ 28 მიმდინარე საქმეში, საიდანაც 18 საქმეში დავის საგანს წარმოადგენს განკარგულება თანამდებობის პირის დაჯარიმების შესახებ, რაც მიღებულ იქნა თანამდებობის პირის მიერ წარდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში არასრული და არასწორი მონაცემების გამოვლენის შედეგად ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში დარღვევის არსებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველზე, ხოლო 10 საქმეში დავის საგანს წარმოადგენს განკარგულება თანამდებობის პირის დაჯარიმების შესახებ, რაც მიღებულ იქნა კანონით განსაზღვრულ ვადაში თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარუდგენლობისთვის.

ზემოაღნიშნული 28 საქმიდან 24 საქმე არის I ინსტანციის სასამართლოს წარმოებაში, 3 საქმე - სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში, ხოლო 1 საქმე საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაშია.

მიმდინარე 28 საქმიდან 26 საქმეში ანტიკორუფციული ბიურო ჩართულია, როგორც სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს უფლებამონაცვლე.

სიტუაციური ანალიზის ფარგლებში, ანტიკორუფციული ბიუროს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის დეპარტამანეტის განვითარებისთვის და ეფექტიანობის გაზრდისთვის განისაზღვრა შესანამისი მიზნები და მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ამ მიმართულებით.

12. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პოლიტიკური პარტიის), საარჩევნო სუბიექტისა და განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე პირის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი

12.1. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პოლიტიკური პარტიის), საარჩევნო სუბიექტისა და განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე პირის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის უფლებამოსილება

კორუფციისაგან თავისუფალი პოლიტიკური გარემოს უზრუნველსაყოფად, ანტიკორუფციული ბიურო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს პოლიტიკური კორუფციის წინააღმდეგ პრევენციულ ღონისძიებებს, მათ შორის, უზრუნველყოფს პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობასა და საჯაროობას.

ანტიკორუფციულ ბიუროში, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და კანონით დადგენილ უფლება-მოვალეობებს ახორციელებს პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტი.

2023 წლის 01 იანვრიდან 31 აგვისტოს ჩათვლით დეპარტამენტი თავის უფლებამოსილებებს ახორციელებდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სისტემის ფარგლებში. 2023 წლის პირველი სექტემბრიდან კი პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის მანდატი მიენიჭა ანტიკორუფციულ ბიუროს.

12.2. პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობის მიზნები და ამოცანები

თანამედროვე დემოკრატიაში პოლიტიკური პარტიები წარმოადგენენ განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ინსტიტუტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების ინტეგრაციას პოლიტიკურ სისტემებში. პოლიტიკურ პარტიებს მათი ძირითადი საქმიანობის განსახორციელებლად სჭირდებათ შესაბამისი დაფინანსება, რომლის გამჭვირვალობისა და რეგულირების უგულებელყოფამ შესაძლოა არასათანადო გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ პროცესებზე და ხელი შეუწყოს კორუფციული პოლიტიკური გარემოს ფორმირებას.

პოლიტიკური პარტიების ფინანსური ანგარიშვალდებულების ხარისხის გაუმჯობესება განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია ჯანსაღი და კონკურენტული საარჩევნო გარემოს შექმნისთვის.

პოლიტიკური ფინანსების საკანონმდებლო რეგულირების მთავარი ამოცანაა შეიქმნას თანასწორი, კონკურენტული და არასათანადო გავლენებისგან თავისუფალი პოლიტიკური გარემო, სადაც ამომრჩევლი გააკეთებს ინფორმირებულ და გაცნობიერებულ არჩევანს.

12.3. ანგარიშვალდებულება და საჯაროობის უზრუნველყოფა

„პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების შესახებ“ ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის 2023 წლის 25 აგვისტოს №4 ბრძანებით დამტკიცებულია ფინანსური ანგარიშების ფორმები, რომელიც მოიცავს პარტიის ფინანსური საქმიანობის ყველა ძირითად კომპონენტს, ადგენს ანგარიშების წარმოდგენის პერიოდულობას და მათი გამჭვირვალობის უზრუნველყოფის წესებს.

პარტია ყოველი წლის 1 თებერვლამდე ანტიკორუფციულ ბიუროს უგზავნის გასული წლის საფინანსო დეკლარაციას. დეკლარაციაში აისახება ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში პარტიის მიერ მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების შესახებ.

გარდა წლიური საფინანსო დეკლარაციისა, პარტია პერიოდულად, ოპერაციის განხორციელებიდან 5 დღის ვადაში, წარუდგენს ანგარიშს ანტიკორუფციულ ბიუროს

შემოწირულების/საწევრო შენატანის მიღების, ნაღდი ფულით გასავლის ოპერაციის, და პოლიტიკური რეკლამის შესყიდვისა შესახებ.

ასევე, საარჩევნო პერიოდში, საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია არჩევნების დანიშვნის დღიდან 3 კვირაში ერთხელ და არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა ანტიკორუფციულ ბიუროს წარუდგინოს საარჩევნო კამპანიის ფინანსური ანგარიში. აღნიშნული ანგარიში, წლიური საფინანსო დეკლარაციის მსგავსად, მოიცავს ინფორმაციას საარჩევნო პერიოდში სუბიექტის მიერ მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების შესახებ.

ანტიკორუფციული ბიურო, კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს წარმოდგენილი დეკლარაციებისა და ანგარიშების საჯარო ხელმისაწვდომობას, როგორც ***ოფიციალურ ვებგვერდზე - monitoring.acb.gov.ge***, ისე ინდივიდუალურად, ყველა დაინტერესებული პირისათვის.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის ზომებს ამავე კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ან/და შეუსრულებლობისათვის.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით საქართველოში რეგისტრირებულია 266 პოლიტიკური პარტია, რომელთაგან 2023 წლის მანძილზე რეგისტრირებულია ერთი პარტია.

12.4. ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა

პოლიტიკური პარტიების ფინანსური ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია პოლიტიკური პარტიების, საარჩევნო სუბიექტებისა და გაცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე პირების საკონსულტაციო მხარდაჭერა.

გასული წლის განმავლობაში, ფინანსურ საქმიანობასთან და ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებით ბიურო პოლიტიკურ პარტიებს აქტიურ რეჟიმში უწევდა საკონსულტაციო მხარდაჭერას.

კონსულტაციის მიზნით დეპარტამენტთან დაკავშირებისათვის არსებობს ***სხვადასხვა საკომუნიკაციო არხები:***

- ელ. ფოსტა: info@acb.gov.ge;
- მობ.: +995 575 778 166;
- ბიუროს ცხელი ხაზი: 032 2 19 28 28.

12.5. 2023 წლის სამართალდარღვევები და წარმოების შედეგები

2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდში, პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ გამოვლინდა 11 პოლიტიკური პარტიის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნიშნის მქონე 13 ფაქტი.

წარმოება ჩატარდა 12 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე და გადაიგზავნა სასამართლოში (პარტია გირჩი - მეტი თავისუფლების მიმართ 2 სამართალდარღვევის ფაქტი ერთი ადმინისტრაციული საქმით წარიმართა სასამართლოში).

იხ. ცხრილი

N	პარტიის დასახელება	საიდენტ. N	შინაარსი	შედეგი
1	სოციალური სამართლიანობისთვის	415030200	საარჩევნო კამპანიის ფონდისა და საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
2	ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა	206138062	კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა (2022 წლის წლიური საფინანსო დეკლარაციის წარმოუდგენლობა)	5000 ლარი
3	პროგრესული საქართველო	206331067	კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა (2022 წლის წლიური საფინანსო დეკლარაციის წარმოუდგენლობა)	შენიშვნა
4	მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის	415030022	კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა (2022 წლის წლიური საფინანსო	შეწყდა

			დეკლარაციის წარმოუდგენლობა)	
5	ქართული მარში-ეროვნული მოძრაობა	415030380	კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა (2022 წლის წლიური საფინანსო დეკლარაციის წარმოუდგენლობა)	შენიშვნა
6	ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთობა - ესე	415030521	კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა (2022 წლის წლიური საფინანსო დეკლარაციის წარმოუდგენლობა)	5000 ლარი
7	ტრიბუნა	415030255	კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა (2022 წლის წლიური საფინანსო დეკლარაციის წარმოუდგენლობა)	შენიშვნა
8	შეცვალე საქართველო	415030317	კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა (2022 წლის წლიური საფინანსო დეკლარაციის წარმოუდგენლობა)	შენიშვნა
9	ქართული არჩევანი	415030353	კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა (2022 წლის წლიური საფინანსო	5000 ლარი

			დეკლარაციის წარმოუდგენლობა)	
10	გირჩი-მეტი თავისუფლება	415030442	კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა (2022 წლის წლიური საფინანსო დეკლარაციის წარმოუდგენლობა) კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა (2022 წელს მიღებული შემოწირულებისა და საწევრო შენატანის შესახებ ინფორმაციის წარმოუდგენლობა)	5000 ლარი
11	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	200078888	კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა (შემოწირულების შესახებ ინფორმაციის წარმოუდგენლობა)	5000 ლარი
12	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	200078888	აკრძალული შემოწირულება (უცხო ქვეყნის მოქალაქისგან მიღებული არაფულადი შემოწირულება, ყვარელში მიხეილ სააკაშვილის საკარმიდამო ნაკვეთში ჩატარებული	700 ლარი ჯარიმა 350 ლარი ბიუჯეტი

			პოლიტსაბჭოს სხდომა)		
			სულ:	**ჯარიმა 25 700 ლარი**	ბიუჯეტი 350 ლარი



12.6. 2023 წლის საარჩევნო კამპანიის ფინანსური ანგარიშების შემოწმება

2023 წლის 29 აპრილის საქართველოს პარლამენტის, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს შუალედური და მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნებისა და 2023 წლის 1 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის შუალედური და მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნების საარჩევნო კამპანიის გამჭვირვალედ წარმართვის მიზნით, საქართველოს საარჩევნო კოდექსისა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, საარჩევნო სუბიექტებს განესაზღვრათ საარჩევნო კამპანიის ფინანსური ანგარიშების წარმოდგენის გრაფიკი.

2023 წლის 29 აპრილს გამართულ არჩევნებში მონაწილეობდა 6 საარჩევნო სუბიექტი - მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება (შემდგომში - მგპ) „გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი“, მპგ „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“, მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, მპგ „თავისუფალი საქართველო“ და ორი დამოუკიდებელი კანდიდატი.

2023 წლის 1 ოქტომბერს გამართულ არჩევნებში მონაწილეობდა 4 საარჩევნო სუბიექტი - მპგ „გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი“, მპგ „ევროპული საქართველო-მოძრაობა

თავისუფლებისთვის“, მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ და მპგ „სოციალური სამართლიანობისთვის“.

დეპარტამენტის მიერ საბანკო დაწესებულებიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშის შესახებ და განხორციელდა დეკლარირებული მონაცემებისა და საბანკო ამონაწერების შესაბამისობის შემოწმება. ხარვეზი/კანონდარღვევა არ გამოვლენილა.

2023 წლის საარჩევნო კამპანიის ფარგლებში საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული დეკლარირებული შემოსავალი ჯამურად არის შემდეგი: (იხ. ცხრილი)

შემოსავლების ჩამონათვალი	პოლიტიკური პარტიების შემოსავალი 2023 წელს (საარჩევნო პერიოდი)
შემოსავლები	**3824592**
შემოსავლები ფულადი სახით	**3824592**
შემოწირულებები	1922258
შემოწირულებები ფიზიკური პირებისაგან	1846258
შემოწირულებები იურიდიული პირებისაგან	76000
სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები	1900742
საბიუჯეტო დაფინანსება	1857495
განსხვავებული სქესის წარმომადგენელთათვის გათვალისწინებული დანამატი	43247
სხვა ფულადი შემოსავლები	1592

2023 წლის საარჩევნო კამპანიის ფარგლებში საარჩევნო სუბიექტების მიერ გაწეული დეკლარირებული ხარჯები ჯამურად არის შემდეგი: (იხ. ცხრილი)

ხარჯების ჩამონათვალი	პოლიტიკური პარტიების ხარჯები 2023 წელს (საარჩევნო პერიოდი)
ხარჯები	**477847.59**
შრომის ანაზღაურება	**40551.00**
ხელფასები	40551.00

საქონელი და მომსახურება	**428452.64**
მივლინებები	3262.00
მივლინებები ქვეყნის შიგნით	3262.00
ოფისის ხარჯები	2057.94
კავშირგაბმულობის ხარჯი	472.00
კომუნალური ხარჯი	1585.94
ელექტროენერგიის ხარჯი	1166.87
წყლის ხარჯი	419.07
წარმომადგენლობითი ხარჯები	650.00
ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	9224.40
საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი	9224.40
ბანკის მომსახურების ხარჯი	431.09
რეკლამის ხარჯი	326970.06
სატელევიზიო რეკლამის ხარჯები	1800.00
ინტერნეტ-რეკლამის ხარჯი	265183.06
ბრენდირებული აქსესუარებით რეკლამის ხარჯი	110.00
გარე რეკლამის ხარჯი *	43145.00
სხვა სარეკლამო ხარჯები	16732.00
სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების მოწყობის ხარჯები	7872.30
საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურების	30940.00
იჯარის ხარჯი	22373.47
უძრავი ქონების იჯარის ხარჯი	22373.47
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	24671.38
პირებისათვის მატერიალური და არამატერიალური ფასეულობების გადაცემა	**6506.23**

მცირე ღირებულების აქსესუარები (მაისურები, კეპები, ქუდები, დროშები და ა.შ.)	6506.23
სხვა ხარჯები	**2337.72**
გადასახადები (გარდა საშემოსავლო და საქონლის ღირებულებაში აღრიცხული დღგ-ის)	1191.22
ზარალი კურსთაშორისი სხვაობებიდან	1146.50

12.7. პოლიტიკური სუბიექტების 2023 წლის ფინანსური საქმიანობისა და გამჭვირვალობის მონიტორინგის შუალედური ანგარიში

პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მიმდინარე მონიტორინგის ფარგლებში, ანტიკორუფციული ბიურო ამოწმებს:

- 2023 წლის განმავლობაში 11 პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ განხორციელებული 706 შემოწირულების კანონიერებას და გამჭვირვალობას;
- 27 პოლიტიკური პარტიის 2023 წლის წლიური საფინანსო დეკლარაციის სისრულეს, სისწორესა და კანონიერებას;
- იურიდიული პირების მიერ პოლიტიკური პარტიების პირდაპირი და არაპირდაპირი გზით დაფინანსების შემთხვევებს, როგორც ქვეყნის შიგნიდან, ისე უცხოეთიდან.

❖ **იურიდიული პირების მიერ პოლიტიკური პარტიების პირდაპირი და არაპირდაპირი გზით დაფინანსების შემთხვევები, როგორც ქვეყნის შიგნიდან, ისე უცხოეთიდან**

მიმდინარე მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილია სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის საქმიანობასთან და ლიდერებთან დაკავშირებული იურიდიული პირები, რომლებიც აქტიურად ეწევიან პარტიის მხარდამჭერ პოლიტიკური შინაარსის საქმიანობას. ობიექტური დაკვირვებით, შეუძლებელია გაიმიჯნოს აღნიშნული იურიდიული პირებისა და მათთან დაკავშირებული პოლიტიკური პარტიების აქტივობები.

ამასთან, დადგინდა, რომ აღნიშნული ორგანიზაციების შემოსავლის ძირითადი წყარო უცხოური დაფინანსებაა.

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილია 7 პოლიტიკურ პარტიასთან კავშირში მყოფი 21 ორგანიზაცია. კერძოდ:

- **მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანება „ელენე ხოშტარია - დროას“** პარტიულ საქმიანობაში აქტიურად ჩართული ორგანიზაციებია:
ა(ა)იპ „მოძრაობა დრო“ (ს/კ 404612601) და უცხოური ორგანიზაცია EED-ს (European Endowment for Democracy).

- **მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანება „საქართველოსთვის“** პარტიულ საქმიანობაში აქტიურად ჩართული ორგანიზაციაა - ა(ა)იპ - დემოკრატიის მხარდამჭერი ცენტრი (ს/კ 405492765);

- **მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანება „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“** პარტიულ საქმიანობაში აქტიურად ჩართული ორგანიზაციებია:
ა(ა)იპ - ამომრჩეველთა განათლების საზოგადოება (ს/ნ 405409525), ა(ა)იპ - სამოქალაქო განათლების ფონდი (ს/ნ 202463379), ა(ა)იპ - თავისუფლების ინსტიტუტი (ს/ნ 202218929), შპს „ტაბულა მედია“ (ს/ნ 405336257), შპს „ყოველკვირეული ანალიტიკური ჟურნალი ტაბულა“ (ს/ნ 202463529), შპს „Tabula Advertising“ (ს/ნ 404948875)

- **მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანება „ლელო საქართველოსთვის“** პარტიულ საქმიანობაში აქტიურად ჩართული ორგანიზაციებია:
ა(ა)იპ - დემოკრატიის ვირტუალური აკადემია (ს/კ 405413805) და ა(ა)იპ სამოქალაქო იდეა - სამოქალაქო ინიციატივა დემოკრატიული ევროატლანტიკური არჩევანისათვის (ს/კ 405195890);

- **მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანება „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი“** პარტიულ საქმიანობაში აქტიურად ჩართული ორგანიზაციებია:
ა(ა)იპ - ინოვაციების და განვითარების ფონდი (ს/ნ 405031059) და ა(ა)იპ - ონკოლოგიის მართვის ცენტრი (ს/ნ 405376123);

- **მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“** პარტიულ საქმიანობაში აქტიურად ჩართული ორგანიზაციებია:

ა(ა)იპ - ანტიკორუფციული მოძრაობა (ს/ნ 404626749), ა(ა)იპ - სამოქალაქო პლატფორმა 20/20 (ს/ნ 205295517), ა(ა)იპ - ჰაბი საქართველო (ს/ნ 405154844), ა(ა)იპ - საზოგადოება სამართლებრივი სახელმწიფოსთვის (ს/ნ 405499198), ა(ა)იპ - 20 ივნისი (ს/ნ 405476596) და ა(ა)იპ - ეკო ტრანსპორტ ცენტრი (ს/ნ 404950969);

- **მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანება „გირჩი - მეტი თავისუფლებას“** პარტიულ საქმიანობაში აქტიურად ჩართული ორგანიზაციაა - ა(ა)იპ „ინდივიდუალური თავისუფლების ინსტიტუტი“ (ს/ნ 406351451);

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, ანტიკორუფციულმა ბიურომ

მიმართა პარტიებს ზემოაღნიშნულ სავარაუდო სამართალდარღვევის ფაქტებთან დაკავშირებული შესაბამისი ფინანსური ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ანტიკორუფციული ბიუროსათვის წარმოდგენის მოთხოვნით.

პარტიები, ანტიკორუფციულ ბიუროში წარმოდგენილი საპასუხო წერილებით, უარყოფენ მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ ზემოაღნიშნულ თანამშრომლობის ფაქტებს. მათ მიერ არცერთ შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი ანტიკორუფციული ბიუროს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია და ფინანსური დოკუმენტაცია.

- **შემოწირულებათა შემოწმება**

პოლიტიკური პარტიების სასარგებლოდ განხორციელებული შემოწირულებების კანონიერებისა და გამჭვირვალობის შესწავლის მიზნით, მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ანტიკორუფციული ბიურო სწავლობს 11 პარტიის სასარგებლოდ განხორციელებული შემოწირულების კანონიერებასა და გამჭვირვალობას რა მიზნითაც მოწმდება პოლიტიკური პარტიების შემომწირველი 571 ფიზიკური პირის ფინანსების შესახებ ინფორმაცია. კერძოდ:

1. მპგ „თაობები საქართველოსთვის“ - 6 პირი;
2. მპგ „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ ინფო“ - 6 პირი;
3. მპგ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - 337 პირი;
4. მპგ „საქართველოსთვის“ - 11 პირი;
5. მპგ „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის“ - 8 პირი;
6. მპგ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 94 პირი;
7. მპგ „ლელო საქართველოსთვის“ - 39 პირი;
8. მპგ „ევროპელი სოციალისტები“ - 9 პირი;
9. მპგ „ელენე ხოშტარია - დროა“ - 13 პირი;
10. მპგ „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ - 42 პირი;
11. მპგ „ხალხისთვის“ - 6 პირი.

შემოწმების შუალედური შედეგების თანახმად, 94 ფიზიკურ პირთან მიმართებით არსებობს გონივრული ეჭვი, რომ ადგილი აქვს დაუსაბუთებელი ქონების მეშვეობით განხორციელებულ შემოწირულებებს. აღნიშნული რისკის ალბათობა შეფასდა ანტიკორუფციული ბიუროს მიერ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით, რის საფუძველზეც აღნიშნული პირების ფინანსები ექვემდებარება დამატებით შესწავლას.

- **2023 წლის წლიური საფინანსო დეკლარაციების შემოწმება**

82 პოლიტიკური პარტიის მიერ წარმოდგენილი 2023 წლის წლიური საფინანსო დეკლარაციიდან/განცხადებიდან დგინდება, რომ 55 მათგანს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ბრუნვა არ ჰქონია. დარჩენილი 27 პარტიიდან 10 000 ლარზე მეტი ბრუნვა ჰქონდა 22 პარტიას, ხოლო 5 პარტიას 10 000 ლარზე ნაკლები.

წლიური საფინანსო დეკლარაციის სისრულის, სისწორისა და კანონიერების შემოწმების მიზნით მიმდინარე წარმოების ფარგლებში ანტიკორუფციული ბიუროს ამოწმებს ფინანსური ბრუნვის მქონე 27 პოლიტიკური პარტიის 2023 წლის წლიურ საფინანსო დეკლარაციას.

პოლიტიკური პარტიების მიერ წარმოდგენილი 2023 წლის წლიური საფინანსო დეკლარაციის, კომერციულ ბანკებში პარტიის ფინანსების შესახებ ინფორმაციისა და პარტიის გასული წლის აქტივობების შესახებ ბიუროს მიერ შეგროვებული მონაცემების შედარების საფუძველზე გამოვლინდა, რომ პარტიების მიერ განხორციელებულია ისეთი საჯარო ღონისძიებები/შეხვედრები და აქტივობები, რომელთან დაკავშირებული ხარჯებიც წარმოდგენილ წლიურ საფინანსო დეკლარაციებში და საბანკო ამონაწერებში არ ფიქსირდება.

1. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ წლიური საფინანსო დეკლარაციის სისრულის, სისწორის და კანონიერების შემოწმების შედეგად, გამოვლინდა პარტიის ფინანსებთან დაკავშირებულ აქტივობებსა და დეკლარირებულ მონაცემებს შორის გარკვეული შეუსაბამობები, კერძოდ:

❖ 2023 წელს, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ წევრი, როგორც პარტიის წარმომადგენელი, საგარეო ვიზიტის ფარგლებში, იმყოფებოდა ქვეყნის გარეთ. აღნიშნული ვიზიტის ხარჯი არ არის ასახული დეკლარაციაში.

❖ 2023 წელს, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ მიერ ორგანიზებულ იქნა საჯარო ღონისძიებები/შეხვედრები. აღნიშნული ღონისძიებების/შეხვედრების ხარჯები არ არის ასახული დეკლარაციაში. 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა 9 ასეთი ღონისძიება/შეხვედრა.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ ფინანსური საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, ანტიკორუფციულმა ბიურომ მიმართა პარტიას ზემოაღნიშნულ შეუსაბამობებთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ანტიკორუფციული ბიუროსათვის წარმოდგენის მოთხოვნით. ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარმოსადგენად პარტიას განესაზღვრა ვადა 5 სამუშაო დღის ოდენობით.

განსაზღვრული ვადის ფარგლებში, ანტიკორუფციულ ბიუროში, პარტიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია სრულყოფილია რვა საჯარო ღონისძიებასთან/შეხვედრასთან დაკავშირებით. დარჩენილი აქტივობების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია არ პასუხობს ან არასრულყოფილად პასუხობს

ანტიკორუფციული ბიუროს კითხვებს. ასევე, მოთხოვნის მიუხედავად, პარტიის მიერ არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.

2. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსთვის“ წლიური საფინანსო დეკლარაციის სისრულის, სისწორის და კანონიერების შემოწმების შედეგად, გამოვლინდა პარტიის ფინანსებთან დაკავშირებულ აქტივობებსა და დეკლარირებულ მონაცემებს შორის გარკვეული შეუსაბამობები, კერძოდ:

❖ 2023 წელს, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსთვის“ წევრები, როგორც პარტიის წარმომადგენლები, საგარეო ვიზიტების ფარგლებში, იმყოფებოდნენ ქვეყნის გარეთ. აღნიშნული ვიზიტების ხარჯი არ არის ასახული დეკლარაციაში. 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა 9 ასეთი ვიზიტი.

❖ 2023 წელს, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსთვის“ მიერ ორგანიზებულ იქნა საჯარო ღონისძიებები/შეხვედრები. აღნიშნული ღონისძიებების/შეხვედრების ხარჯები არ არის ასახული დეკლარაციაში. 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა 6 ასეთი ღონისძიება/შეხვედრა.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსთვის“ ფინანსური საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, ანტიკორუფციულმა ბიურომ მიმართა პარტიას ზემოაღნიშნულ შეუსაბამობებთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ანტიკორუფციული ბიუროსათვის წარმოდგენის მოთხოვნით. ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარმოსადგენად პარტიას განესაზღვრა ვადა 5 სამუშაო დღის ოდენობით.

განსაზღვრული ვადის ფარგლებში, ანტიკორუფციულ ბიუროში პარტიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია სრულყოფილია ორ საგარეო ვიზიტთან და ერთ საჯარო ღონისძიებასთან/შეხვედრასთან დაკავშირებით. დარჩენილი აქტივობების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია არ პასუხობს ან არასრულყოფილად პასუხობს ანტიკორუფციული ბიუროს კითხვებს. ასევე, მოთხოვნის მიუხედავად, პარტიის მიერ არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.

3. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წლიური საფინანსო დეკლარაციის სისრულის, სისწორის და კანონიერების შემოწმების შედეგად, გამოვლინდა პარტიის ფინანსებთან დაკავშირებულ აქტივობებსა და დეკლარირებულ მონაცემებს შორის გარკვეული შეუსაბამობები, კერძოდ:

❖ 2023 წელს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები, როგორც პარტიის წარმომადგენლები, საგარეო ვიზიტების ფარგლებში იმყოფებოდნენ ქვეყნის გარეთ. აღნიშნული ვიზიტების ხარჯი არ არის ასახული დეკლარაციაში. 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა 15 ასეთი ვიზიტი.

❖ 2023 წელს, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ორგანიზებულ იქნა საჯარო ღონისძიებები/შეხვედრები. აღნიშნული ღონისძიებების/შეხვედრების ხარჯები არ არის ასახული დეკლარაციაში. 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა 28 ასეთი ღონისძიება/შეხვედრა.

❖ 2023 წლის 9 აპრილს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ორგანიზებით ჩატარდა აქცია ქ. თბილისში. აღნიშნული აქციის ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯი არ არის ასახული დეკლარაციაში.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ფინანსური საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, ანტიკორუფციულმა ბიურომ მიმართა პარტიას ზემოაღნიშნულ შეუსაბამობებთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ანტიკორუფციული ბიუროსათვის წარმოდგენის მოთხოვნით. ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარმოსადგენად პარტიას განესაზღვრა ვადა 5 სამუშაო დღის ოდენობით.

განსაზღვრული ვადის ფარგლებში, ანტიკორუფციულ ბიუროში პარტიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია სრულყოფილია ოთხ საგარეო ვიზიტთან და ათ საჯარო ღონისძიებასთან/შეხვედრასთან დაკავშირებით. დარჩენილი აქტივობების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია არ პასუხობს ან არასრულყოფილად პასუხობს ანტიკორუფციული ბიუროს კითხვებს. ასევე, მოთხოვნის მიუხედავად, პარტიის მიერ არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.

4. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებლის“
წლიური საფინანსო დეკლარაციის სისრულის, სისწორის და კანონიერების შემოწმების შედეგად, გამოვლინდა პარტიის ფინანსებთან დაკავშირებულ აქტივობებსა და დეკლარირებულ მონაცემებს შორის გარკვეული შეუსაბამობები, კერძოდ:

❖ 2023 წელს, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრები, როგორც პარტიის წარმომადგენლები, საგარეო ვიზიტების ფარგლებში, იმყოფებოდნენ ქვეყნის გარეთ. აღნიშნული ვიზიტების ხარჯი არ არის ასახული დეკლარაციაში. 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა 6 ასეთი ვიზიტი.

❖ 2023 წელს, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებლის“ მიერ ორგანიზებულ იქნა საჯარო ღონისძიებები/შეხვედრები. აღნიშნული ღონისძიებები/შეხვედრების ხარჯები არ არის ასახული დეკლარაციაში. 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა 14 ასეთი ღონისძიება/შეხვედრა.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებლის“ ფინანსური საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, ანტიკორუფციულმა ბიურომ მიმართა პარტიას ზემოაღნიშნულ შეუსაბამობებთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ანტიკორუფციული ბიუროსათვის წარმოდგენის მოთხოვნით. ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარმოსადგენად პარტიას განესაზღვრა ვადა 5 სამუშაო დღის ოდენობით.

განსაზღვრული ვადის ფარგლებში, ანტიკორუფციულ ბიუროში პარტიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია სრულყოფილია ოთხ საგარეო ვიზიტთან და ორ საჯარო ღონისძიებასთან/შეხვედრასთან დაკავშირებით. დარჩენილი აქტივობების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია არ პასუხობს ან არასრულყოფილად პასუხობს ანტიკორუფციული ბიუროს კითხვებს. ასევე, მოთხოვნის მიუხედავად, პარტიის მიერ არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.

5. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ევროპელი სოციალისტების“ წლიური საფინანსო დეკლარაციის სისრულის, სისწორის და კანონიერების შემოწმების შედეგად, გამოვლინდა პარტიის ფინანსებთან დაკავშირებულ აქტივობებსა და დეკლარირებულ მონაცემებს შორის გარკვეული შეუსაბამობები, კერძოდ:

❖ 2023 წელს, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ევროპელი სოციალისტების“ თავმჯდომარე, როგორც პარტიის წარმომადგენელი, საგარეო ვიზიტის ფარგლებში, იმყოფებოდა ქვეყნის გარეთ. აღნიშნული ვიზიტების ხარჯი არ არის ასახული დეკლარაციაში. 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა 2 ასეთი ვიზიტი.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ევროპელი სოციალისტების“ ფინანსური საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, ანტიკორუფციულმა ბიურომ მიმართა პარტიას ზემოაღნიშნულ შეუსაბამობებთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ანტიკორუფციული ბიუროსათვის წარმოდგენის მოთხოვნით. ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარმოსადგენად პარტიას განესაზღვრა ვადა 5 სამუშაო დღის ოდენობით.

განსაზღვრული ვადის ფარგლებში, ანტიკორუფციულ ბიუროში პარტიის მიერ წარმოდგენილია საპასუხო ინფორმაცია.

6. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოსთვის“ წლიური საფინანსო დეკლარაციის სისრულის, სისწორის და კანონიერების შემოწმების შედეგად, გამოვლინდა პარტიის ფინანსებთან დაკავშირებულ აქტივობებსა და დეკლარირებულ მონაცემებს შორის გარკვეული შეუსაბამობები, კერძოდ:

❖ 2023 წელს, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოსთვის“ წევრი, როგორც პარტიის წარმომადგენელი, საგარეო ვიზიტების ფარგლებში, იმყოფებოდა ქვეყნის გარეთ. აღნიშნული ვიზიტების ხარჯი არ არის ასახული დეკლარაციაში. 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა 2 ასეთი ვიზიტი.

❖ 2023 წელს, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოსთვის“ მიერ ორგანიზებულ იქნა საჯარო ღონისძიებები/შეხვედრები. აღნიშნული ღონისძიებების/შეხვედრების ხარჯები არ არის ასახული დეკლარაციაში. 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა 11 ასეთი ღონისძიება/შეხვედრა.

❖ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოსთვის“ მიერ წარმოდგენილი წლიური საფინანსო დეკლარაციის მიხედვით 2023 წლის საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის შპს-სგან „ტრიდე უძრავი ქონება“ (ს/კ 402028186) იჯარით აღებული საოფისე ფართის საიჯარო ქირის დავალიანება შეადგენს 84 000 ლარს, რაც 2023 წლის საანგარიშო პერიოდში გაიზარდა 48 000 ლარით (თვეში 4 000 ლარი). წლის ბოლოს აღნიშნულმა დებიტორულმა დავალიანებამ შეადგინა 132 000 ლარი, რაც პარტიის მიერ ასახულია 2023 წლის წლიურ საფინანსო დეკლარაციაში - ვალდებულებების რეესტრში.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოსთვის“ ფინანსური საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, ანტიკორუფციულმა ბიურომ მიმართა პარტიას ზემოაღნიშნულ შეუსაბამობებთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ანტიკორუფციული ბიუროსათვის წარმოდგენის მოთხოვნით. ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარმოსადგენად პარტიას განესაზღვრა ვადა 5 სამუშაო დღის ოდენობით.

განსაზღვრული ვადის ფარგლებში, ანტიკორუფციულ ბიუროში, პარტიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია სრულყოფილია ორივე საგარეო ვიზიტთან და ორ საჯარო ღონისძიება/შეხვედრასთან დაკავშირებით. დარჩენილი საკითხების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია არ პასუხობს ან არასრულყოფილად პასუხობს ანტიკორუფციული ბიუროს კითხვებს. ასევე, მოთხოვნის მიუხედავად, პარტიის მიერ არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.

7. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ელენე ხოშტარია-დროას“ წლიური საფინანსო დეკლარაციის სისრულის, სისწორის და კანონიერების შემოწმების შედეგად, გამოვლინდა პარტიის ფინანსებთან დაკავშირებულ აქტივობებსა და დეკლარირებულ მონაცემებს შორის გარკვეული შეუსაბამობები, კერძოდ:

❖ 2023 წელს, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ელენე ხოშტარია-დროას“ თავმჯდომარე, როგორც პარტიის წარმომადგენელი, საგარეო ვიზიტების ფარგლებში, იმყოფებოდა ქვეყნის გარეთ. აღნიშნული ვიზიტების ხარჯი არ არის ასახული დეკლარაციაში. 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა 3 ასეთი ვიზიტი.

❖ 2023 წელს, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ელენე ხოშტარია-დროას“ მიერ ორგანიზებულ იქნა საჯარო ღონისძიებები/შეხვედრები. აღნიშნული ღონისძიებების/შეხვედრების ხარჯები არ არის ასახული დეკლარაციაში. 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა 5 ასეთი ღონისძიება/შეხვედრა.

❖ მპგ „ელენე ხოშტარია დროას“ და მპგ „გირჩი-მეტი თავისუფლებას“ ერთობლივი ინიციატივითა და თანაორგანიზებით ხორციელდება პროექტები, რომელთან დაკავშირებული ხარჯიც არ არის ასახული დეკლარაციაში.

❖ მონიტორინგის ფარგლებში გამოვლინდა, რომ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ელენე ხოშტარია-დროა“ იღებს შემოწირულებებს დაკავშირებული იურიდიული პირებისა და უცხოური ორგანიზაციების მიერ, რომელთა დეკლარირებაც არ ხდება ანტიკორუფციულ ბიუროში.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ელენე ხოშტარია-დროას“ ფინანსური საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, ანტიკორუფციულმა ბიურომ მიმართა პარტიას ზემოაღნიშნულ შეუსაბამობებთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ანტიკორუფციული ბიუროსათვის წარმოდგენის მოთხოვნით. ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარმოსადგენად პარტიას განესაზღვრა ვადა 5 სამუშაო დღის ოდენობით.

განსაზღვრული ვადის ფარგლებში, ანტიკორუფციულ ბიუროში, პარტიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია არ პასუხობს ან არასრულყოფილად პასუხობს ანტიკორუფციული ბიუროს კითხვებს. ასევე, მოთხოვნის მიუხედავად, პარტიის მიერ არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.

8. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „გირჩი - მეტი თავისუფლება“ არ ასრულებს კანონით დადგენილ ვალდებულებას და ანტიკორუფციულ ბიუროს არ წარუდგენს წლიურ საფინანსო დეკლარაციას და ანგარიშებს. აღნიშნული პარტიის ფინანსების მონიტორინგის შედეგად, გამოვლინდა მის მიერ განხორციელებული გარკვეული აქტივობები, რაც დაკავშირებულია ფინანსურ ხარჯებთან და რის შესახებაც ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი ანტიკორუფციულ ბიუროში. კერძოდ:

❖ 2023 წელს, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „გირჩი - მეტი თავისუფლების“ წევრები, როგორც პარტიის წარმომადგენლები, საგარეო ვიზიტების ფარგლებში, იმყოფებოდნენ ქვეყნის გარეთ. 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა 5 ასეთი ვიზიტი.

❖ 2023 წელს, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „გირჩი - მეტი თავისუფლების“ მიერ ორგანიზებულ იქნა საჯარო ღონისძიებები/შეხვედრები. 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა 12 ასეთი ღონისძიება/შეხვედრა.

❖ მპგ „გირჩი-მეტი თავისუფლებას“ და მპგ „ელენე ხოშტარია დროას“ ერთობლივი ინიციატივითა და თანაორგანიზებით ხორციელდება პროექტები რომელთა შესახებაც ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი ანტიკორუფციულ ბიუროში.
❖ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „გირჩი - მეტი თავისუფლება“ ანტიკორუფციულ ბიუროში არ წარმოადგენს ინფორმაციას პარტიის ოფისების და მათთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ.

❖ მონიტორინგის ფარგლებში გამოვლინდა, რომ მოქალქეთა პოლიტიკური გაერთიანება „გირჩი - მეტი თავისუფლება“ შემოწირულებებს იღებს დაკავშირებული პირების მეშვეობით, რისი დეკლარირებაც არ ხდება ანტიკორუფციულ ბიუროში.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „გირჩი - მეტი თავისუფლებას“ ფინანსური საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, ანტიკორუფციულმა ბიურომ მიმართა პარტიას ზემოაღნიშნულ აქტივობებთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ანტიკორუფციული ბიუროსათვის წარმოდგენის მოთხოვნით. ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარმოსადგენად პარტიას განესაზღვრა ვადა 5 სამუშაო დღის ოდენობით.

განსაზღვრული ვადის ფარგლებში, ანტიკორუფციულ ბიუროში, პარტიას მოთხოვნილი ინფორმაცია და ფინანსური დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია.

9. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პატრიოტთა ალიანსის“ წლიური საფინანსო დეკლარაციის სისრულის, სისწორის და კანონიერების შემოწმების შედეგად, გამოვლიდა სავარაუდო სამართალდარღვევის ფაქტი. კერძოდ:

❖ 2023 წელს, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პატრიოტთა ალიანსის“ საბანკო ანგარიშიდან განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ნაღდი ფულით გასავლის ოპერაცია.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პატრიოტთა ალიანსის“ ფინანსური საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, ანტიკორუფციულმა ბიურომ მიმართა პარტიას ზემოაღნიშნულ სავარაუდო სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ანტიკორუფციული ბიუროსათვის წარმოდგენის მოთხოვნით.

ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარმოსადგენად მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება პარტიას განესაზღვრა ვადა 5 სამუშაო დღის ოდენობით.

განსაზღვრული ვადის ფარგლებში, ანტიკორუფციულ ბიუროში წარმოდგენილი ინფორმაციითა და დოკუმენტაციით დადასტურდა სამართალდარღვევის ფაქტი.

10. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი პოლიტიკური ცენტრი - გირჩის“ წლიური საფინანსო დეკლარაციის სისრულის, სისწორის და კანონიერების შემოწმების შედეგად, გამოვლინდა კანონმდებლობასთან შეუსაბამო ფინანსური საქმიანობა. კერძოდ:

❖ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი პოლიტიკური ცენტრი - გირჩის“ ორგანიზებით, 2023 წლის 23 დეკემბერს გაიმართა გათამაშება, სადაც პარტიის მიერ გათამაშდა ფულადი თანხა - 25 000 აშშ დოლარი.

❖ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი პოლიტიკური ცენტრი - გირჩი“ შემოწირულებებს იღებს ვებგვერდის მეშვეობით სხვა პირ(ებ)ის საბანკო ანგარიშებზე ჩარიცხვის გზით. კერძოდ: პარტიას შექმნილი აქვს ვირტუალური ვალუტა, რომლის შეძენით პირები ახდენენ პარტიის, პოლიტიკოსების და პროექტების დაფინანსებას, რისი დეკლარირებაც არ ხდება ანტიკორუფციულ ბიუროში.

❖ 2023 წლის 20 აგვისტოდან ვირტუალური ვალუტის მფლობელებს, მოთხოვნის შემთხვევაში, პარტია ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებიდან უხდის თანხას ვირტუალური ვალუტის (GED) ფლობის პროპორციულად. აღნიშნული მიზნით, 2023 წელს ფიზიკური პირებისთვის გადახდილია 153 080 ლარი.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი პოლიტიკური ცენტრი - გირჩის“ ფინანსური საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, ანტიკორუფციულმა ბიურომ მიმართა პარტიას ზემოაღნიშნულ შეუსაბამობებთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ანტიკორუფციული ბიუროსათვის წარმოდგენის მოთხოვნით. ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარმოსადგენად პარტიას განესაზღვრა ვადა 5 სამუშაო დღის ოდენობით.

განსაზღვრული ვადის ფარგლებში, ანტიკორუფციულ ბიუროში, პარტიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია არ პასუხობს ან არასრულყოფილად პასუხობს ანტიკორუფციული ბიუროს კითხვებს. ასევე, მოთხოვნის მიუხედავად, პარტიის მიერ არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.

11. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტიის“ წლიური საფინანსო დეკლარაციის სისრულის, სისწორის და კანონიერების შემოწმების შედეგად, გამოვლიდა კანონმდებლობასთან შეუსაბამო ფინანსური საქმიანობა. კერძოდ:

❖ დეკლარაციის მიხედვით, 2023 წელს, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტიის“ წევრების საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში

მივლინების ხარჯმა შეადგინა - 122 450 ლარი, რისი დოკუმენტალური დადასტურებაც პარტიის მხრიდან ვერ ხდება. გამოვლინდა პარტიის მიერ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი გადასახადებისგან თავის არიდების სავარაუდო ფაქტი.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტიის“ ფინანსური საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, ანტიკორუფციულმა ბიურომ მიმართა პარტიას ზემოაღნიშნულ შეუსაბამობებთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ანტიკორუფციული ბიუროსათვის წარმოდგენის მოთხოვნით. ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარმოსადგენად მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიულ პარტიას“ განესაზღვრა ვადა 5 სამუშაო დღის ოდენობით.

განსაზღვრული ვადის ფარგლებში, ანტიკორუფციულ ბიუროში წარმოდგენილია შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

12. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ ინფოს“ წლიური საფინანსო დეკლარაციის სისრულის, სისწორის და კანონიერების შემოწმების შედეგად, გამოვლინდა კანონმდებლობასთან შეუსაბამო ფინანსური საქმიანობა. კერძოდ:

❖ 2023 წელს, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ ინფოს“ მიერ ორგანიზებულ იქნა საჯარო ღონისძიებები/შეხვედრები. აღნიშნული ღონისძიებების/შეხვედრების ხარჯები არ არის ასახული დეკლარაციაში. 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა 8 ასეთი ღონისძიება/შეხვედრა.

❖ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ ინფოს“ შემოწირულებებს იღებს პირებისგან, უნაღდო ანგარიშსწორებით, ფიზიკური პირების საბანკო ანგარიშებზე ჩარიცხვის გზით, რისი დეკლარირებაც არ ხდება ანტიკორუფციულ ბიუროში.

❖ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ ინფოს“ შემოწირულებებს იღებს პირებისგან, ნაღდი ანგარიშსწორებით, რისი დეკლარირებაც არ ხდება ანტიკორუფციულ ბიუროში.

❖ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ ინფოს“ ანტიკორუფციულ ბიუროში არ წარმოადგენს ინფორმაციას პარტიის ოფისების და მათთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ.

❖ 2023 წლის 8 ივლისს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანება „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ ინფოს“ ორგანიზებით ჩატარდა აქცია ქ. თბილისში. აღნიშნული აქციის ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯი არ არის ასახული დეკლარაციაში.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ ინფოს“ ფინანსური საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, ანტიკორუფციულმა ბიურომ მიმართა პარტიას ზემოაღნიშნულ შეუსაბამობებთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ანტიკორუფციული ბიუროსათვის წარმოდგენის მოთხოვნით. ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარმოსადგენად პარტიას განესაზღვრა ვადა 5 სამუშაო დღის ოდენობით.

განსაზღვრული ვადის ფარგლებში, ანტიკორუფციულ ბიუროში, პარტიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია არ პასუხობს ან არასრულყოფილად პასუხობს ანტიკორუფციული ბიუროს კითხვებს. ასევე, მოთხოვნის მიუხედავად, პარტიის მიერ არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.

13. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წლიური საფინანსო დეკლარაციის სისრულის, სისწორის და კანონიერების შემოწმების შედეგად, გამოვლინდა პარტიის ფინანსებთან დაკავშირებულ აქტივობებსა და დეკლარირებულ მონაცემებს შორის გარკვეული შეუსაბამობა, კერძოდ:

❖ 2023 წელს, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მიერ ორგანიზებულ იქნა ერთი საჯარო ღონისძიება/შეხვედრა.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ფინანსური საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, ანტიკორუფციულმა ბიურომ მიმართა პარტიას ზემოაღნიშნულ შეუსაბამობებთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ანტიკორუფციული ბიუროსათვის წარმოდგენის მოთხოვნით. ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარმოსადგენად პარტიას განესაზღვრა ვადა 5 სამუშაო დღის ოდენობით.

განსაზღვრული ვადის ფარგლებში, ანტიკორუფციულ ბიუროში, პარტიის მიერ წარმოდგენილია ინფორმაცია და დოკუმენტაცია საჯარო ღონისძიება/შეხვედრასთან დაკავშირებით.

12.8. 2023 წელს 10 000 ლარზე მეტი ფინანსური ბრუნვის მქონე პოლიტიკური პარტიები

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის შესაბამისად, ანტიკორუფიულ ბიუროში 82 პოლიტიკურმა პარტიამ წარმოადგინა 2023 წლის წლიური საფინანსო დეკლარაცია/განცხადება, საიდანაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 10 000 ლარზე მეტი ბრუნვა ჰქონდა 22 პარტიას:

- მპგ „ევროპელი სოციალისტები“;
- მპგ „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“;
- მპგ „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“;
- მპგ „მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“;
- მპგ „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“;
- მპგ „ლელო საქართველოსთვის“;
- მპგ „ხალხისთვის“;
- მპგ „ელენე ხოშტარია - დროა“;
- მპგ „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“;
- მპგ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“;
- მპგ „საქართველოს კონსერვატიული პარტია“;
- მპგ „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“;
- მპგ „პროგრესი და თავისუფლება“;
- მპგ „კანონი და სამართალი“;
- მპგ „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“;
- მპგ „საქართველოსთვის“;
- მპგ „ახალი პოლიტიკური ცენტრი“;
- მპგ „საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია“;
- მპგ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;
- მპგ „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი“;
- მპგ „კონსერვატიული მოძრაობა ალტ/ინფო“;
- მპგ „თაობები საქართველოსთვის“.

2023 წელს, 10 000 ლარზე მეტი ფინანსური ბრუნვის მქონე პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული დეკლარირებული შემოსავლები ჯამურად შემდეგია: **(იხ. ცხრილი)**

შემოსავლების ჩამონათვალი	პოლიტიკური პარტიების შემოსავლები 2023 წელს
შემოსავლები	**26380366**
შემოსავლები ფულადი სახით	**26380366**
შემოწირულებები	13065683
შემოწირულებები ფიზიკური პირებისაგან	12949683
შემოწირულებები იურიდიული პირებისაგან	116000
სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები	12742941
საბიუჯეტო დაფინანსება	12483462

განსხვავებული სქესის წარმომადგენელთათვის გათვალისწინებული დანამატი	259479
კომერციული ბანკებიდან მიღებული სესხები/კრედიტები	282000
სხვა ფულადი შემოსავლები	289741

2023 წელს, 10 000 ლარზე მეტი ფინანსური ბრუნვის მქონე პოლიტიკური პარტიების მიერ გაწეული დეკლარირებული ხარჯები ჯამურად შემდეგია: (იხ. ცხრილი)

ხარჯების ჩამონათვალი	პოლიტიკური პარტიების ხარჯები 2023 წელს
ხარჯები	15016601.07
შრომის ანაზღაურება	3157404.95
ხელფასები	2995072.87
პრემია	151653.48
სხვა ანაზღაურება	10678.60
საქონელი და მომსახურება	10424524.03
მივლინებები	413529.28
მივლინებები ქვეყნის შიგნით	165702.00
მივლინებები ქვეყნის გარეთ	247827.28
ოფისის ხარჯები	2144533.82
საკანცელარიო საქონლის, საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის შეძენის, დამონტაჟების და მოვლა-შენახვის ხარჯები	921272.83
საოფისე ავეჯი	31100.35
შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯები	170186.14
კავშირგაბმულობის ხარჯი	431574.18
საფოსტო მომსახურების ხარჯი	2411.90
კომუნალური ხარჯი	563187.19
ელექტროენერგიის ხარჯი	333912.16
წყლის ხარჯი	51523.66
ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯი	174980.81
სხვა კომუნალური ხარჯი	2770.56

ოფისის ხარჯი რომელიც არ არის კლასიფიცირებული	24408.20
წარმომადგენლობითი ხარჯები	107369.41
კვების ხარჯები	1413.00
ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	203554.18
საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი	155855.31
მიმდინარე რემონტის ხარჯი	47698.87
ბანკის მომსახურების ხარჯი	10912.95
რეკლამის ხარჯი	1138151.48
სატელევიზიო რეკლამის ხარჯები	45529.00
ბეჭდური რეკლამის ხარჯები	15311.00
ინტერნეტ-რეკლამის ხარჯი	923021.54
ბრენდირებული აქსესუარებით რეკლამის ხარჯი	14247.50
გარე რეკლამის ხარჯი *	43525.00
სხვა სარეკლამო ხარჯები	96517.44
სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების მოწყობის ხარჯები	401710.91
საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურების	1040167.68
აუდიტორიული მომსახურების ხარჯი	97300.00
შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯი	21972.00
იჯარის ხარჯი	3256092.78
უძრავი ქონების იჯარის ხარჯი	3209904.51
ავტოსატრანსპორტო საშუალებების იჯარის ხარჯი	46188.27
კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებები	920.50
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	1586896.04
პირებისათვის მატერიალური და არამატერიალური ფასეულობების გადაცემა	7006.23
მცირე ღირებულების აქსესუარები (მაისურები, კეპები, ქუდები, დროშები და ა.შ.)	6506.23

სხვა ფასეულობები	500.00
დამხმარე ხასიათის საქმიანობისათვის გაწეული ხარჯები	28505.09
სოციალური უზრუნველყოფა	1808.91
სხვა ხარჯები	516741.33
დაზღვევის ხარჯი	25790.90
გადასახადები (გარდა საშემოსავლო და საქონლის ღირებულებაში აღრიცხული დღგ-ის)	119976.34
მოსაკრებლები	100.00
სხვადასხვა ხარჯები	357140.76
ზარალი კურსთაშორისი სხვაობებიდან	13733.33
არაფინანსური აქტივების ზრდა	150162.40
სატრანსპორტო საშუალებები	100068.72
სხვა მანქანა დანადგარები და ინვენტარი	45824.68
სხვა ძირითადი აქტივები	4269.00
ვალდებულებების კლება	730448.13
კომერციული ბანკებიდან მიღებული სესხების დაფარვა	663336.39
სხვა სესხების დაფარვა	67111.74

13. მამხილებლის დაცვის მექანიზმები

კანონის თანახმად, ანტიკორუფციული ბიურო შეიმუშავებს მამხილებლის დაცვის ღონისძიებათა გაუმჯობესების შესახებ შესაბამის წინადადებებს, მამხილებლის დაცვის საკითხებზე გასცემს სათანადო რეკომენდაციებს და კანონის შესაბამისად ახორციელებს ამ სფეროსთან დაკავშირებულ ღონისძიებებს.

მამხილებლის დაცვის მანდატი ანტიკორუფციულ ბიუროს გადაეცა 2023 წლის 1-ლი სექტემბრიდან. ***მხილება ხორციელდება ვებგვერდზე - mkhileba.acb.gov.ge.***

აღსანიშნავია, რომ ბიუროს მიერ ჩატარებული სიტუაციური ანალიზის შედეგად იდენტიფიცირებულ იქნა გამოწვევები ვებგვერდის ეფექტიანი ფუნქციონირების კუთხით. კერძოდ, რიგ შემთხვევებში ვერ ხდებოდა შესაბამის უწყებებში მხილების განცხადებების ავტომატური გადამისამართება. ასევე დონორი ორგანიზაციის მიერ თავდაპირველად შექმნილი ვებგვერდის კოდი იმგვარად იყო აწყობილი, რომ ვერ ემატებოდა ახალი უწყებები, რაც აფერხებდა შემდგომ გადამისამართების პროცესს.

ბიურომ, დარგის სპეციალისტებთან თანამშრომლობით, დაიწყო ახალი ვებგვერდის კონცეფციაზე მუშაობა, რის საფუძველზეც საიტი გახდება უფრო მოქნილი და მომხმარებელზე მაქსიმალურად ორიენტირებული; მათ შორის, ადაპტირებული იქნება როგორც სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის, აგრეთვე სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მომხმარებლისთვის. ამასთან, შეიქმნა განაცხადებზე რეაგირების ეფექტიანობის შემოწმების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც ვებგვერდზე არსებული ტექნიკური ხარვეზის შემთხვევაში, ბიურო, ანონიმურობის დაცვით, უშუალოდ ახორციელებს მხილების განაცხადების გადამისამართებას.

კანონით დადგენილი მანდატით გათვალისწინებული ფუნქციების სათანადოდ და ეფექტიანად შესასრულებლად, 2023 წლის განმავლობაში აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობდა მხილების რეგულირებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზისა და მექანიზმების შესწავლა.

მხილებისა პროცესის, მამხილებელთა დაცვის გაძლიერებისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, ანტიკორუფციული ბიუროს ინიციატივითა და მოწვეული ექსპერტის ჩართულობით, მომზადდა მამხილებელთა დაცვის მექანიზმების ეფექტიანობის სიტუაციური ანალიზი.

აღნიშნული ანალიზის ფარგლებში განხორციელდა ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის კვლევა, შესწავლილ იქნა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, როგორც ევროპის ქვეყნების (ლიეტუვა, ესპანეთი, საფრანგეთი) ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ ანტიკორუფციული ქსელების რეკომენდაციები.

სიტუაციური ანალიზი ემსახურება მამხილებელთა დაცვის მექანიზმებთან დაკავშირებული სისტემური ხარვეზების იდენტიფიცირებას, მათი აღმოფხვრის გზების დადგენას, მომავალი სამოქმედო მიმართულებების განსაზღვრას. კვლევის ფარგლებში, ქართულ-ამერიკული და ქართულ-ევროპული შედარებითი სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე შეფასდა არსებული საკანონმდებლო რეგულაციები.

ბიუროს მიერ დაიგეგმა შემდეგი აქტივობები:

- მამხილებელთა ფსიქოლოგიური და სამართლებრივი დახმარებით უზრუნველყოფის მექანიზმის შემუშავება;
- მხილების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონის შეფასება და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების დაგეგმვა.

მამხილებელთა უფასო იურიდიული დახმარებისა და უფასო ფსიქოლოგიური კონსულტაციის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავებისათვის, 2023 წლის 24 ნოემბერს, ანტიკორუფციული ბიუროს ორგანიზებით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა.

შეხვედრას დაესწრო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსი, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს დირექტორი, საქართველოს პროკურატურის წარმომადგენელი და სახალხო დამცველი.

შეხვედრის დასასრულს ხელი მოეწერა სამმხრივ მემორანდუმს, ანტიკორუფციული ბიუროს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასა და იურიდიული დახმარების სამსახურს შორის.

მემორანდუმის მიზანია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ცალკეული მექანიზმების გაძლიერება, სამომავლო თანამშრომლობა და არსებული პრაქტიკის გაზიარება, მამხილებლებისთვის უფასო იურიდიული და ფსიქოლოგიური კონსულტაციის ხელმისაწვდომობისთვის ერთობლივი პროექტების შემუშავება.

მომზადებულია საკანონმდებლო წინადადება, რომლის მიხედვითაც ანტიკორუფციული ბიუროს მიმართვის საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნება მამხილებლისთვის როგორც უფასო სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა, ისე ადვოკატირება. საჭიროების შემთხვევაში, ბიურო დამატებით უზრუნველყოფს ფსიქოლოგის მომსახურებას.

ანტიკორუფციულმა ბიურომ **2023 წელს შემოსულ 27 განცხადებასთან/საჩივართან** დაკავშირებით განახორციელა შემდეგი რეაგირება:

- *21 განცხადება/ საჩივარი გაიგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში;*
- *2 განცხადება/საჩივარი გაიგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში;*
- *1 განცხადება/ საჩივარი გაიგზავნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში;*
- *1 განცხადება/საჩივარი გაიგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციასა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში;*
- *1 განცხადება/ საჩივარი გაიგზავნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში;*
- *1 განცხადება/საჩივარი გაიგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტში, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში.*

ამასთან, ბიუროს მიერ განხორციელდა განცხადებების შესწავლა და ანალიზი, იმ შესაძლო სისტემური სისუსტეების გამოსავლენად, რომელიც შემდგომში მოგვცემს ამ საკითხებზე პრევენციული მექანიზმების დანერგვის შესაძლებლობას.

14. ანტიკორუფციული ბიუროს სხვა აქტივობები

14.1. განათლების ცენტრი

❖ ***ანტიკორუფციული ბიუროს განათლების ცენტრის მიზანი/მისია***

ანტიკორუფციული განათლების ცენტრის მიზანია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება, საზოგადოების ინფორმირება და სახელმწიფოს ანტიკორუფციული პოლიტიკის ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის პროცესის ხელშეწყობა სასწავლო პროგრამების განხორციელებით.

❖ ***ანტიკორუფციული ბიუროს განათლების ცენტრის ამოცანებია:***

- ანტიკორუფციულ საკითხებზე განათლების სტრატეგიის სისტემის შექმნა;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებთან/აკადემიურ წრეებთან თანამშრომლობა;
- კორუფციის პრევენციის მექანიზმების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობა;
- საჯარო მოსამსახურეებისთვის ცნობიერების ამაღლება;
- ანტიკორუფციული გარემოს შექმნის მიზნით, სამუშაო შეხვედრების, ბენჩ-ბარების, მრგვალი მაგიდის და სხვა ღონისძიებების ორგანიზება;
- ახალგაზრდებისთვის (მათ შორის, სტუდენტები და სკოლის მოსწავლეები) სასწავლო პროექტების ორგანიზება;
- ბიუროს თანამშრომლების პროფესიული განვითარება.

განათლების ცენტრის მიერ განხორციელდა ანტიკორუფციულ საკითხებზე საგანმანათლებლო პროგრამებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მოძიება და განზოგადება, რის საფუძველზეც გამოიკვეთა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სამივე საფეხურზე (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო) ანტიკორუფციული საკითხების სასწავლო პროგრამებში ინტეგრირების მნიშვნელობა.

განათლების ცენტრში მიმდინარეობს ანტიკორუფციული ოფიცრის სერტიფიცირების პროგრამის შემუშავება.

აღნიშნული სასერტიფიკატო პროგრამა შესაძლებლობას მისცემს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს დაეუფლოს ახალ პროფესიას, გაეცნოს კორუფციის პრევენციის მექანიზმებს, საერთაშორისო ინსტრუმენტებს და კორუფციული რისკების შეფასების მეთოდოლოგიას.

სერტიფიცირება დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობას მისცემთ დასაქმდნენ საჯარო ან/და კერძო სექტორში. მსგავსი პრაქტიკა გვხვდება დიდ ბრიტანეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, იტალიის რესპუბლიკაში, პოლონეთში, საფრანგეთსა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში.

14.2. ცნობიერების ამაღლება

❖ **კონფერენცია თემაზე: ანტიკორუფციული გარემოს ხელშეწყობა კორუფციის რისკების შეფასებითა და პრევენციული მექანიზმების გაძლიერებით:**

2023 წლის 18 დეკემბერს ბიუროს ორგანიზებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრთან თანამშრომლობით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა (GIZ) და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) პროექტის „კარგი ფინანსური მმართველობა ადგილობრივ დონეზე საქართველოში“ (GFG) მხარდაჭერით, სახელმწიფო უწყებების, მუნიციპალიტეტების, აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლებისთვის, შიდა აუდიტორებისა და რისკის შეფასების ოფიცრებისთვის ჩატარდა კონფერენცია თემაზე: „ანტიკორუფციული გარემოს ხელშეწყობა კორუფციის რისკების შეფასებითა და პრევენციული მექანიზმების გაძლიერებით“.

კონფერენციის სამიზნე ჯგუფი შეირჩა უწყებათაშორისი ანტიკორუფციული საბჭოს წევრებისა და რისკების შეფასების მიმართულებით საუკეთესო პრაქტიკის მქონე უწყებებიდან.

კონფერენციაზე წარდგენილ იქნა შემდეგი თემატიკა:

- *ანტიკორუფციული ბიუროს მანდატი და საქმიანობა;*
- *მენეჯერულ ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებული საჯარო მმართველობა;*
- *ანტიკორუფციულ რეფორმები სახელმწიფო შესყიდვების სფეროში;*
- *შიდა და გარე აუდიტის თანამშრომლობა პრევენციული მექანიზმების დანერგვაში;*
- *შიდა აუდიტის როლი კორუფციის პრევენციაში;*
- *კორუფციული რისკების შეფასება საჯარო დაწესებულებებში;*
- *რისკების მართვა, პრაქტიკაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გამოცდილებით.*



კონფერენციას დაესწრო დუშეთის, გორის, მცხეთის, თელავის, ყვარლის, წყალტუბოს, საგარეჯოს, ბორჯომის, აბაშის, ბოლნისის, ზუგდიდის და ფოთის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები.

❖ **საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამები**

საჯარო მოსამსახურეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) აღმოსავლეთ პარტნიორობის საჯარო მმართველობის რეფორმის რეგიონული პროექტის მხარდაჭერით მიმდინარეობს ანტიკორუფციულ საკითხებზე ექვსსაათიანი ელექტრონული სასწავლო კურსის შემუშავება.

კურსი ითვალისწინებს შემდეგ თემატიკას: რა არის კორუფცია, ანტიკორუფციული კანონმდებლობა, კორუფცია და კარგი მმართველობა, კორუფციის პრევენციის მექანიზმები, მხილების ინსტიტუტი, ინტერესთა შეუთავსებლობა და სხვა.

❖ **თანამშრომლობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან**

2023 წლის 17 ნოემბერს, ანტიკორუფციული ბიუროს ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, დარგობრივ განათლების ცენტრებთან და აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან. შეხვედრის მიზანი იყო უმაღლეს საგანანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებში ანტიკორუფციული საკითხების ინტეგრირება.

შეხვედრა გახსნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, გიორგი ამილახვარმა. დამსწრე საზოგადოებამ, აკადემიური წრის წარმომადგენლებმა იმსჯელეს საგანმანათლებლო პროგრამებში ანტიკორუფციული საკითხების ინტეგრირების მნიშვნელობაზე. ანტიკორუფციული ბიუროს უფროსმა ხაზი გაუსვა საერთაშორისო გამოცდილებას, სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტების საუკეთესო პრაქტიკას ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ და უნივერსიტეტებთან, დარგობრივი განათლების ცენტრებთან თანამშრომლობის მნიშვნელობას.

შეხვედრაზე მონაწილეებს სიტყვით მიმართა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის *რექტორმა, აკადემიკოსმა, ჯაბა სამუშიამ,* საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის *რექტორმა, პროფესორმა, დავით გურგენიძემ,* ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტის *სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელმა, პროფესორმა, ზვიად გაბისონიამ,* ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის, *პროფესორმა, მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელმა; მენეჯმენტის და ადმინისტრირების დარგობრივი საბჭოს თავმჯდომარემ (EQE) ნათია ზედგინიძემ*, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, *ბერლინის შტაინბაისის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა კვლევების მიმართულებით გიორგი ხუბუამ*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის *პროფესორმა, პაატა ტურავამ*, აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის *რექტორმა შალვა კირთაძემ*, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის *რექტორმა, შალვა ჭკადუამ* და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის *რექტორმა, ლინგვისტიკის დოქტორმა, ნინო დობორჯგინიძემ*.

შეხვედრის ბოლოს, მოწვეულმა სტუმრებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას საგანმანათლებლო პროგრამებში ანტიკორუფციული საკითხების ინტეგრირების მიზნით, სამომავლო თანამშრომლობის შესახებ.

შეხვედრა განხორციელდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა (GIZ) და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) პროექტის დაკვეთით „კარგი ფინანსური მმართველობა ადგილობრივ დონეზე საქართველოში“ (GFG) პროექტის მხარდაჭერით.

შეხვედრას დაესწრო 47 მოწვეული სტუმარი (მათ შორის, 16 უნივერსიტეტი და 10 განათლების ცენტრი).

2023 წლის დეკემბერში, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადდა საჯარო მმართველობის მიმართულებით უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები. მნიშვნელოვანია, რომ ბიუროს რეკომენდაციის გათვალისწინებით, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას, ანგარიშვალდებულებისა და კეთილსინდისიერების კომპეტენციის ნაწილში, დაემატა საჯარო სექტორში ანტიკორუფციული მექანიზმების მართვის თემატიკა.

❖ **საინფორმაციო შეხვედრები მუნიციპალიტეტებთან**

ბიუროს წარმომადგენლებმა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ანტიკორუფციული კვირეულის ფარგლებში, 2023 წლის 7-8 დეკემბერს, საინფორმაციო შეხვედრები გამართეს ოზურგეთისა და აბაშის მუნიციპალიტეტების მერიის თანამშრომლებთან.

2023 წლის 7 დეკემბერს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, შეხვედრა გაიმართა სასტუმროში „ოზურგეთი პლაზა“. პრეზენტაციების შემდგომ, მერიის თანამშრომლებმა უპასუხეს ბიუროს წარმომადგენლების მიერ დასმულ შეკითხვებს, გაუზიარეს მუნიციპალიტეტში არსებული პრაქტიკა, ადამიანური რესურსების მართვის, სახელმწიფო შესყიდვებისა და აუდიტის მიმართულებით. შეხვედრას დაესწრო ოზურგეთის მერის მოადგილე, გიორგი ღურჯუმელიძე და მერიის 19 თანამშრომელი.

2023 წლის 8 დეკემბერს, აბაშის მუნიციპალიტეტში, შეხვედრა გაიმართა აბაშის ადგილობრივი თვითმმართველობის საინფორმაციო ცენტრში. შეხვედრას დაესწრო აბაშის მუნიციპალიტეტის მერი, გიგა გაბელაია და მერიის თანამშრომლები. შეხვედრის ფარგლებში, პრეზენტაციების შემდგომ, ბიუროს წარმომადგენლებმა უპასუხეს დასმულ შეკითხვებს და დეტალურად განიხილეს შემდგომი თანამშრომლობის პერსპექტივები; აგრეთვე, ბიუროს მანდატის ფარგლებში არსებული საკითხები. შეხვედრის ფარგლებში აბაშის მერმა ისაუბრა მერიის მიერ დაგეგმილ/მიმდინარე აქტივობებსა და სამუშაო პროცესში არსებულ გამოწვევებზე. შეხვედრას დაესწრო 21 მონაწილე.

მუნიციპალიტეტებში შეხვედრები განხორციელდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) პროექტის დაკვეთით „კარგი ფინანსური მმართველობა ადგილობრივ დონეზე საქართველოში“ (GFG) ფარგლებში.

შეხვედრის შესახებ საინფორმაციო ვიდეორგოლი იხილეთ ბმულზე: https://cutt.ly/YwXoj7vB

15. საერთაშორისო თანამშრომლობა

15.1. ბიუროს სამუშაო ვიზიტები

ქვეყნის დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარებისთვის, აგრეთვე, კორუფციასთან ბრძოლის პროცესში, ბიუროსთვის პრიორიტეტულია საერთაშორისო და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, ურთიერთობების განვითარება და გაღრმავება.

2023 წელს, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, ბიუროს უფროსისა და მისი გუნდის მონაწილეობით, სამუშაო შეხვედრები გაიმართა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში: გერმანია, ესპანეთი, საფრანგეთი, ბელგია, ლიეტუვა და სხვა.

2023 წლის 6 ივლისს ბიუროს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს მსოფლიო ბანკის ჯგუფის ანტიკორუფციული განვითარების გლობალურ ფორუმში, ქალაქ ვაშინგტონში, სადაც ანტიკორუფციული განვითარების გლობალური ფორუმის ფარგლებში შეხვდნენ მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებს.

15.2. ვენეციის კომისიის ვიზიტი

2023 წლის 8 ნოემბერს, ევროკომისიის ისტორიული გადაწყვეტილების თანახმად, დადებითი რეკომენდაცია გაიცა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების თაობაზე. ამავდროულად, ევროკომისიამ გამოაქვეყნა გარკვეული დათქმები, მათ შორის, ანტიკორუფციული მიმართულებით.

ამ მიზნით, 2023 წლის 15 ნოემბერს, სამუშაო შეხვედრა გაიმართა ანტიკორუფციული ბიუროს უფროს, რაჟდენ კუპრაშვილსა და ვენეციის კომისიის სამდივნოს წარმომდგენლებს, ირიკ ჰოლმოვეიკოს, პანეოტის ვოიატისისა და ტანია ვონ დიკს შორის.

შეხვედრის ფარგლებში, ბიუროს უფროსმა ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა ვენეციის კომისიის წარმომადგენლებს ანტიკორუფციულ საკანონმდებლო რეგულირებაზე, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მოქმედ მოდელზე, აგრეთვე, ბიუროს ინსტიტუციურ და ფუნქციურ დამოუკიდებლობაზე. გააცნო ბიუროს სტრუქტურა, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და სტრატეგიული ამოცანები.

15.3. შეხვედრები საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან

2023 წელს, ბიურო აქტიურად ახორციელებდა შეხვედრებს დიპლომატიური მისიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. შეხვედრები გაიმართა:

- USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის წარმომადგენლებთან - 25/01/2023;
- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის დელეგაციასთან - 28/01/2023;
- საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, იურიდიულ საკითხებში იუსტიციის დეპარტამენტის მრჩეველთან, ლენა მორტონ ოუენსსთან - 30/01/2023;
- USAID-ის საჯარო მმართველობის პროგრამის წარმომადგენლებთან - 30/01/2023;
- გერმანიის საელჩოს, ეკონომიკისა და პრესის განყოფილების პირველ მდივანთან, სარა ცილონკასთან - 03/04/2023;
- გაეროს დამოუკიდებელ ექსპერტებთან, ლივინგსტონ სევანიანასთან და ნამინდრანასოა ნი ჰაჯასთან - 27/04/2023;
- კანადის საელჩოს პირველ მდივანთან, კეტრინ პორტერთან - 01/05/2023;
- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის, „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“, წარმომადგენლებთან - 17/05/2023;
- კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) შემფასებელ ექსპერტებთან, შეფასების მე-5 რაუნდის ფარგლებში - 21/06/2023;
- რუმინეთის ელჩ, რაზვან როტუნდესთან - 05/07/2023
- ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) უფროს, სარა რუპერტთან - 07/07/2023;
- საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლობის მმართველობისა და ადამიანური კაპიტალის მიმართულების ხელმძღვანელ, კოლომბე დე მერსისთან - 07/07/2023;
- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უფროს ექსპერტებთან - 07/07/2023;
- გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულთან ბრძოლის ცენტრალური აზიის ოფისის (UNODC ROCA) ფულის გათეთრების, დანაშაულის შედეგად მიღებული შემოსავლებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ გლობალური პროგრამის რეგიონულ მრჩეველ, ალიაქსანდრ ვაძიანსთან - 08/09/2023;
- საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს ახალ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, მელინე არაკელიანსთან და საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაციის წევრებთან, ევროკავშირის საგარეო საქმეთა პოლიტიკის უფროს ოფიცერთან, კამილ მერლენსთან და ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის სპეციალურ წარმომადგენელთან, რეინ დეკერსთან - 26/09/2023.

15.4. დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

2023 წლის 19 ოქტომბერს, გაიმართა ბიუროს სტრატეგიული ამოცანების, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით გადასადგმელი ნაბიჯებისა და პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ პრეზენტაცია. შეხვედრას დაესწრო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიის რესპუბლიკის და დიდი ბრიტანეთის საელჩოს წარმომადგენლები.

პრეზენტაციას დაესწრო ასევე შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები: მსოფლიო ბანკის, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), ნატო-ს სამეკავშირეო ოფისი (NATO/NLO), საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES), USAID; ევროპის საბჭოს ოფისი (CoE), ამერიკის შეერთებული შტატების ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების საერთაშორისო ბიურო (INL), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ).

შეხვედრა წარიმართა ინტერაქციულ რეჟიმში: პრეზენტაციის ბოლოს ბიუროს უფროსმა, რაჟდენ კუპრაშვილმა უპასუხა დონორთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

შეხვედრას დაესწრო 38 სტუმარი (მათ შორის, 27 მოწვეული სტუმარი და 11 ბიუროს თანამშრომელი).

შეხვედრის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა ვებგვერდზე და სხვადასხვა მედია საშუალებით (იხ. ბმული: https://shorturl.at/luH89).

2023 წელს, საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით დაიგეგმა მნიშვნელოვანი პროექტები:

- ბიუროს შიდა სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება და თანამშრომელთა გადამზადება;
- ცნობიერების ამაღლების მიზნით, ანტიკორუფციულ საკითხებზე ელექტრონული სასწავლო კურსების შექმნა (ასინქრონული სწავლება);
- რეგიონული საინფორმაციო შეხვედრები მუნიციპალიტეტებთან;
- ბიუროს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების სტრატეგიის შემუშავება და გადამზადების პროცესი;
- ცნობიერების ამაღლების მიზნით, საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან;
- მამხილებლის დაცვის მექანიზმების გაძლიერების მიზნით, სახელმძღვანელოს შემუშავება და მამხილებლის დაცვის პროცესში ჩართული პირების გადამზადება;
- საერთაშორისო კონფერენცია (ესპანეთის სამეფო, ლიეტუვა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, მოლდოვა) და სხვა.

16. საერთაშორისო შეფასების პროცესი

16.1. კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფთან (GRECO) ანგარიშგება

GRECO არის ევროპის საბჭოს სპეციალიზებული მონიტორინგის ორგანო, რომელიც მიმართულია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისკენ. იგი აერთიანებს 50 წევრ ქვეყანასა და 11 დამკვირვებელ მონაწილეს. ორგანიზაციის უპირველესი მიზანია წევრი ქვეყნების ანტიკორუფციულ სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი და მათთვის სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს გასაუმჯობესებლად რეკომენდაციების გაცემა.

საქართველო GRECO-ს წევრი ქვეყანაა 1999 წლიდან და დღემდე სრულად შეფასებულია 3 რაუნდის ფარგლებში. ამ ეტაპზე, საქართველოსთვის მიმდინარეა შეფასების მე-4 (საქართველოსთან მიმართებით დაიწყო 2016 წელს) და მე-5 (საქართველოსთან მიმართებით დაიწყო 2022 წელს) რაუნდები.

ანტიკორუფციული ბიუროს წარმომადგენლებმა, 2023 წლის 5-9 ივნისს მონაწილეობა მიიღეს GRECO-ს 94-ე პლენარულ სხდომაში, ხოლო 2023 წლის 27 ნოემბრიდან-1 დეკემბრის ჩათვლით 95-ე პლენარულ სხდომაში.

❖ **შეფასების მე-4 რაუნდი:**

GRECO-ს შეფასების მეოთხე რაუნდის მონიტორინგის საგანია კორუფციის პრევენცია პარლამენტის წევრებთან, მოსამართლეებთან და პროკურორებთან მიმართებით. შეფასების ფარგლებში საქართველოს მიმართ გაცემული 16 რეკომენდაციიდან, დღეის მდგომარეობით, სრულად (8 რეკომენდაცია) ან ნაწილობრივ შესრულებულია (6 რეკომენდაცია) 14 რეკომენდაცია და შესასრულებლად დარჩენილია 2 რეკომენდაცია, რომელთაგანაც კიდევ ერთი რეკომენდაციის[8] შესრულება დამტკიცდება 2024 წლის მარტის GRECO-ს 96-ე პლენარულ სხომაზე.

შესრულებული რეკომენდაციები, მათ შორის მოიცავს: მოსამართლეთა დანიშვნა/გადანიშვნის წესს, მათ კარიერულ დაწინაურებასა და საქმიანობისთვის აუცილებელ პირობებს; მოსამართლეებს შორის საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის დანერგვას; გენერალური პროკურორის დანიშვნის წესსა და საპროკურორო საბჭოს დამოუკიდებელი ფუნქციონირების წესებს; პროკურორთა დაწინაურების ერთიანი კრიტერიუმების შემუშავებასა და მისი საჯაროობის უზრუნველყოფას; პროკურორთა შორის საქმეთა განაწილების ერთიანი, მკაცრად გაწერილი წესების შემუშავებას; პროკურორთათვის ეთიკის წესების განახლებას და მისი საჯაროობის უზრუნველყოფას; დეკლარანტთა წრის გაფართოებას ყველა პროკურორის მიმართ; პროკურორთა საქმიანობის ზედამხედველობისა და შესაბამისი აღსრულების მექანიზმების შემუშავებას, დისციპლინური პასუხისმგებლობის

[8] ყველა პროკურორის მიმართ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსების ვალდებულების განსაზღვრა;

ჭრილში; პარლამენტის წევრთა, მოსამართლეთა და პროკურორთა მიერ წარდგენილი დეკლარაციების ეფექტური მონიტორინგის განხორციელებას.

- **შეფასების მე-5 რაუნდი:**

GRECO-ს შეფასების მეხუთე რაუნდის შეფასების საგანია კორუფციის პრევენცია და კეთილსინდისიერების ხელშეწყობა ცენტრალურ ხელისუფლებასა (უმაღლესი აღმასრულებელი რგოლი) და სამართალდამცავ უწყებებში.

2023 წლის 17 მარტს, რელევანტური უწყებების ჩართულობით GRECO-ს სამდივნოს გაეგზავნა მეხუთე რაუნდის სრულყოფილად შევსებული კითხვარი, შესაბამისი დანართებით;

2023 წლის 19-23 ივნისს, შესაფასებელ უწყებებთან კონსულტაციების გავლის მიზნით, გაიმართა GRECO-ს შემფასებელი ექსპერტების ვიზიტი ქვეყანაში, რომელსაც ორგანიზება და კოორდინაცია გაუწია ანტიკორუფციულმა ბიურომ.

ექსპერტთა ვიზიტამდე, ბიუროს ორგანიზებით გაიმართა ათამდე სამუშაო შეხვედრა მე-5 რაუნდში მონაწილე სახელმწიფო უწყებებთან.

ბიუროს ანალიტიკოსების მხრიდან დამუშავდა მეხუთე რაუნდის ფარგლებში სხვა ქვეყნების მიმართ გაცემული რეკომენდაციები, რის საფუძველზეც განზოგადდა GRECO-ს სტანდარტი შესაფასებელ თემებთან მიმართებით. აღნიშნული მიგნებები სამუშაო შეხვედრების ფორმატში გაზიარებულ იქნა შეფასების მეხუთე რაუნდის ფარგლებში ჩართულ სახელმწიფო უწყებებთან, რამაც დამატებით ხელი შეუწყო ექსპერტებთან წარმატებული შეხვედრების გამართვას.

GRECO-ს ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში, ბიურომ უზრუნველყო შემფასებელთა ჯგუფის ყველა დაინტერესებულ მხარესთან შეხვედრა, ექსპერტებისთვის საინტერესო/პასუხის გარეშე დარჩენილ საკითხებზე ინფორმაციის შეგროვება. ბიუროს ანალიტიკოსების მხრიდან დამუშავდა შეფასების ანგარიშის პროექტი, სახელმწიფო უწყებებთან დაზუსტდა ანგარიშში მითითებული ბუნდოვანი საკითხები, დამაზუსტებელი კითხვები და ინფორმაცია სრულყოფილი სახით მიეწოდა გრეკოს სამდივნოს.

- **შეფასების მე-6 რაუნდი**

GRECO უახლოეს მომავალში გეგმავს შეფასების მეექვსე რაუნდის პროცესის დაწყებას.

მეექვსე რაუნდის შეფასების თემატიკისა და ფარგლების განსაზღვრის მიზნით, საწყის ეტაპზე, GRECO-ს სამდივნო ახდენს შესაბამისი ინფორმაციის შეგროვებას ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნებისგან. აღნიშნულის საფუძველზე, 2023 წლის ივლის-აგვისტოში, ანტიკორუფციული ბიუროს კოორდინაციით, GRECO-ს სამდივნოს მიერ გამოგზავნილი

კითხვარი შევსებულ იქნა რელევანტური სახელმწიფო უწყებების მიერ და გაერთიანებული დოკუმენტი წარედგინა სამდივნოს.

16.2. გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის ოფისთან (UNODC) ანგარიშგება

გაეროს კორუფციის წინააღმდეგ კონვენცია (UNCAC) არის საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც მიზნად ისახავს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას მთელ მსოფლიოში.

UNCAC-ის განხორციელების პროცესი მოიცავს რამდენიმე საკვანძო ნაბიჯს და გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის ოფისი (UNODC) გადამწყვეტ როლს ასრულებს ამ პროცესის ხელშეწყობასა და მხარდაჭერაში.

UNODC მხარს უჭერს წევრ სახელმწიფოებს მათი სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოების შეფასებაში, რათა გამოავლინონ ხარვეზები და გამოწვევები UNCAC-ის დებულებების განხორციელებაში. ეს შეიძლება მოიცავდეს არსებული კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პრაქტიკის გადახედვას ანტიკორუფციულ ძალისხმევასთან დაკავშირებით.

ამჟამად, საქართველოსთან მიმართებით მიმდინარეა UNCAC შეფასების მეორე ციკლი, რომლის განმავლობაში მიმდინარეობს II (პრევენციული ღონისძიებები) და V (აქტივების აღდგენა) თავების იმპლემენტაციის პროცესი.

ანტიკორუფციული ბიურო, შეფასების ამ ციკლში 2023 წლიდან ასრულებს მაკოორდინირებელი ორგანოს როლს და აწარმოებს შესაბამის მოლაპარაკებებს UNODC-ის სამდივნოს წარმომადგენლებთან.

2023 წლის ივლისის თვეში, ანტიკორუფციული ბიუროს მხრიდან, კომპეტენციის ფარგლებში, წარდგენილ იქნა შენიშვნები საქართველოსა და UNODC-ს შორის თანამშრომლობის საგზაო რუკის პროექტზე.

2023 წლის აგვისტო-სექტემბერში, ანტიკორუფციული ბიუროს მხრიდან განხორციელდა გაეროს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა მეცხრე კონფერენციის (შემდგომში - COSP) თანმდევი კითხვარების წარდგენა. ბიუროს კოორდინაციით რელევანტურმა უწყებებმა შეავსეს კითხვარები განხორციელებული აქტივობების შესახებ და წარედგინა UNODC-ის სამდივნოს.

UNCAC-ის იმპლემენტაციის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, თითოეული ხელმომწერი ქვეყანა წარადგენს შემფასებელ ექსპერტთა სიას და აწვდის სამდივნოს ინფორმაციას მათ შესახებ.

ვინაიდან, ქართველ ექსპერტთა სია საჭიროებდა განახლებას, ანტიკორუფციულმა ბიურომ, 2023 წლის სექტემბერში, შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან კოორდინაციით შეადგინა სამთავრობო ექსპერტების სია და UNODC-ის სამდივნოს გაუგზავნა მათ მიერ დადგენილი

ფორმის დაცვით. აღნიშნული ექსპერტები, სამომავლოდ მონაწილეობას მიიღებენ UNCAC ხელმომწერი ქვეყნების მიერ კონვენციის შესრულების ფარგლების შეფასების პროცესში.

2023 წლის დეკემბერში, აშშ-ში, ატლანტას შტატში გაიმართა გაეროს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა მეათე კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ანტიკორუფციული ბიუროს წარმომადგენლებმა, ბიუროს უფროსის ხელმძღვანელობით. კონფერენციის ფარგლებში, ბიუროს წარმომადგენლებმა პანელურ დისკუსიაში მიიღეს მონაწილეობა და სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრები გამართეს. კონფერენციის ფარგლებში, ასევე განისაზღვრა UNODC-სთან სამომავლო თანამშრომლობის ფარგლები.

ანტიკორუფციული ბიურო, როგორც საერთაშორისო ანტიკორუფციულ პლატფორმებზე სახელმწიფო კოორდინატორი და წარმომადგენელი, აქტიურ კომუნიკაციაში იმყოფება UNODC-თან. რაც შეეხება ზედამხედველობის ჯგუფის ჩამოსვლას და მათთან შესაბამისი ინფორმაციის მიმოცვლას, სამდივნოსთან შეთანხმებით, მოცემული პროცესი დაიწყება 2024 წლიდან.

16.3. ყოველწლიური ეროვნული პროგრამა (ANP)

2008 წლის 2-3 დეკემბრის ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების გადაწყვეტილებით, ალიანსმა მაქსიმალურად გააქტიურა საქართველოსთან თანამშრომლობა ნატო-საქართველოს კომისიის მეშვეობით.

ამავდროულად, დაიწყო ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) შემუშავება და განხილვა. ნატოს პრაქტიკიდან გამომდინარე, ANP-ს მხოლოდ გაწევრიანების სამოქმედო გეგმაში (MAP-ში) ჩართული ქვეყნები ახორციელებდნენ. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ANP-ს განხორციელების საშუალება MAP-ზე პოლიტიკური გადაწყვეტილების გარეშე მიეცა. შესაბამისად, 2008 წლიდან-დღემდე საქართველო ახორციელებს წლიურ ეროვნულ პროგრამას, რომელმაც თანამშრომლობის მანამდე არსებული ფორმატი IPAP ჩაანაცვლა.

წლიური ეროვნული პროგრამა ქვეყნებს სთავაზობს იმ ღონისძიებათა ჩამონათვალს, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ნატოს სტანდარტებთან მაქსიმალურად დაახლოვებასა და ალიანსში გაწევრიანებას. კერძოდ:

- პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები;
- თავდაცვის საკითხები;
- რესურსების საკითხები;
- უსაფრთხოების საკითხები;
- სამართლებრივი საკითხები.

წლიური ეროვნული პროგრამის შეფასება და განახლება ყოველწლიურად ხორციელდება. დოკუმენტი საქართველოს ნატოში ინტეგრაციის სახელმწიფო კომისიის სხდომაზე მტკიცდება და ეგზავნება ნატოს შტაბ-ბინას.

ანტიკორუფციულმა ბიურომ დაარსების პირველ წელს წარმატებით განახორციელა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან ყოველწლიური სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებები.

2023 წლის ოქტომბერში წარდგენილ იქნა ინფორმაცია ბიუროს პასუხისმგებლობად განსაზღვრულ აქტივობებზე განხორციელებული ნაბიჯების შესახებ, ხოლო 2023 წლის ნოემბერში ბიუროს უფროსის პირველმა მოადგილემ მონაწილოება მიიღო ნატოს შემფასებელი ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში გამართულ სამუშაო შეხვედრაში.

გარდა ამისა, ბიურომ, 2024 წლის ეროვნული პროგრამის შემუშავებისთვის, დეტალური ინფორმაცია მიაწოდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დაგეგმილი და განსახორციელებელი რეფორმებისა და ღონისძიებების შესახებ.

რეფორმები და ღონისძიებები შეეხება: ბიუროს ინსტიტუციურ გაძლიერებას; პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებას (ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა); მონიტორინგისა (თანამდებობის პირებისა და პოლიტიკური პარტიების) და კორუფციის რისკების შეფასების მეთოდოლოგიური დოკუმენტების შემუშავებას/განახლებას/გაუმჯობესებას; საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობას, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას.

17. ბიუროს ვებგვერდისა და სოციალური ქსელების ადმინისტრირება

2022 წლის 30 ნოემბერს, კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2023 წლის 1 სექტემბრიდან ანტიკორუფციულ ბიუროს გადმოეცა საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ადმინისტრირებული და სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული შემდეგი ვებ-გვერდები:

- Declaration.acb.gov.ge - თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების ერთიანი ელექტრონული სისტემა;
- Mkhileba.acb.gov.ge - კანონის მე-20³ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მხილების განსახორციელებელი ვებგვერდი;
- Fms.acb.gov.ge - პოლიტიკური ფინანსების ელექტრონული დეკლარირების პროგრამა;
- Monitoring.acb.gov.ge - პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის ვებგვერდი.

2023 წლის 1 სექტემბრიდან აღნიშნულ ვებგვერდებზე წვდომა და შესაბამისი სერვისის მიღება, უზრუნველყოფილია ანტიკორუფციული ბიუროს ოფიციალური ვებგვერდის Acb.gov.ge საშუალებით.

Declaration.acb.gov.ge - თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების ერთიანი ელექტრონული სისტემა ყოველწლიურად ემსახურება 8000-მდე თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსების უზრუნველყოფასა და საჯაროდ გამოქვეყნებას. ვებგვერდს ყოველდღიურად სტუმრობენ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობით დაინტერესებული პირები, მათ შესაძლებლობა აქვთ ონლაინ დაათვალიერონ და ასევე სასურველი ფორმატით ჩამოტვირთონ დეკლარაციები.

Mkhileba.acb.gov.ge - მხილების განსახორციელებელი ვებგვერდი უზრუნველყოფს შესაბამის საჯარო დაწესებულებაში მამხილებლის მიერ ელექტრონულად შექმნილი მხილების განცხადების გადაგზავნას. კანონის შესაბამისად მხილების ვებგვერდი მომხმარებელს აძლევს საშუალებას მხილების განცხადება გააგზავნოს ანონიმური ფორმით.

Fms.acb.gov.ge - პოლიტიკური ფინანსების ელექტრონული დეკლარირების პროგრამის მომხმარებლები არიან საქართველოში რეგისტრირებული მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები. მათ მიერ აღნიშნულ პროგრამაში აისახება მიღებული შემოწირულებების, საწევრო შენატანებისა და რეკლამის ხარჯის შესახებ ინფორმაცია, რომელიც ბიუროს მიერ ყოველთვიურად ქვეყნდება პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის ვებგვერდზე - Monitoring.acb.gov.ge. აღნიშნული ვებგვერდების ანტიკორუფციული ბიუროსთვის გადმოცემის დღიდან, ბიუროს თანამშრომლები დარგის სპეციალისტებთან ერთად, აქტიურ რეჟიმში მუშაობენ ვებგვერდების ახალ პროექტებზე.

პლატფორმებისა და პროგრამების განახლება მომავალში უზრუნველყოფს მათი ფუნქციებისა და ამოცანების ეფექტიან შესრულებას. შედეგად, ვებგვერდები გახდება უფრო მოქნილი და მომხმარებელზე მაქსიმალურად ორიენტირებული. მათ შორის, ადაპტირებული იქნება როგორც სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის, აგრეთვე სხვადასხვა ასაკობრივი თუ ენობრივი ჯგუფის მომხმარებლისთვის.

18. საქართველოს ადგილი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობაში

- გლობალური რისკის პროფილის (GRP) ბოლო მონაცემებით, საქართველო 196 ქვეყანას შორის 2 ადგილით დაწინაურდა, 43-ე ადგილი დაიკავა და საუკეთესო 25%-ში მოხვდა. შავი ზღვის რეგიონში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში საქართველომ პირველი ადგილი დაიკავა - „კორუფციის დაბალი დონის“ სტატუსით.

- საზოგადოებრივი კეთილსინდისიერების ინდექსის (IPI) მიხედვით საქართველომ 10-დან 7.56 ქულა, ისტორიული მაქსიმუმი მიიღო და რეიტინგში 29-ე ადგილი დაიკავა.

- კორუფციის აღქმის ინდექსის (CPI) მიხედვით, საქართველო 49-ე ადგილზეა, საერთო ქულით 100-დან 53. ამ მაჩვენებლის მიხედვით, საქართველო უსწრებს ევროკავშირის ყველა კანდიდატ ქვეყანას და ევროკავშირის ექვს ამჟამინდელ წევრს (მალტა, ხორვატია, საბერძნეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, უნგრეთი).

➢ კანონის უზენაესობის ინდექსის თანახმად, საქართველო მსოფლიოში 48-ე, ხოლო რეგიონში პირველ ადგილს იკავებს და მას მიენიჭა კორუფციის დაბალი დონის სტატუსი.

➢ ქრთამის რისკის მატრიცის (Trace Bribery Risk Matrix) თანახმად, საქართველო მსოფლიოს 194 ქვეყანას შორის 35-ე ადგილს იკავებს და რეგიონში ლიდერია.

➢ ფონდ „ჰერითიჯის“ (Heritage Foundation) 2024 წლის ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში საქართველომ კვლავ გაიუმჯობესა შედეგები და 38-ე ადგილი დაიკავა. ამ რეიტინგით საქართველო პირველად ევროპის საუკეთესო ოცეულშია, და უსწრებს ევროკავშირის წევრ 11, ნატოს წევრ 13 და ევროკავშირის კანდიდატ ყველა ქვეყანას.

➢ ბიუჯეტის ღიაობის ინდექსის თანახმად, 2023 წლის მონაცემებით საქართველო მსოფლიოში 44-ე ადგილს იკავებს, რაც 190-მდე ქვეყანას შორის რეიტინგში ერთ-ერთ პირველობას მოასწავებს.

19. ანტიკორუფციული ბიუროს ფინანსური ანგარიში

კანონის 20[21] მუხლის მეორე პუნქტის და ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის №1 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ანტიკორუფციული ბიუროს დებულების მე-19 მუხლის შესაბამისად, ბიუროს დაფინანსების წყაროებია:

- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
- საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

ანტიკორუფციული ბიუროს სახელმწიფო ბიუჯეტი 2023 წელს შეადგენდა 2 000 000.00 ლარს.

ანტიკორუფციული ბიუროს ხარჯები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს სულ 1 969 416.29 ლარს, აქედან:

➢ შრომის ანაზღაურება - 502 021.94 (ლარი);
➢ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება - 398 830.44 (ლარი);
➢ მივლინების ხარჯები - 135 520.10 (ლარი);
➢ ოფისის ხარჯები - 59 770.70 (ლარი);
➢ წარმომადგენლობითი ხარჯი - 14 979.22 (ლარი);
➢ ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 8 388.00 (ლარი);
➢ სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 134 583.29 (ლარი);
➢ მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული - 1 348.00 (ლარი);
➢ არაფინანსური აქტივების ზრდა - 713 974.60 (ლარი).

2023 წელს ანტიკორუფციული ბიუროს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის 3 [1] პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის და „საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისათვის თანხის გამოყოფის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 30 მარტის №619 განკარგულების საფუძველზე, ***სულ გაფორმდა 88 ხელშეკრულება - ჯამში 914 552.05 ლარი***.

2024 წელს ანტიკორუფციული ბიუროს ბიუჯეტი განისაზღვრა 8 500 000.00 ლარით.

20. საჯარო ინფორმაციის გაცემა

2023 წლის განმავლობაში ბიუროში საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით შემოვიდა **14 წერილი,** რომლებზეც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში გაცემულ იქნა შესაბამისი პასუხები.

საჯარო ინფორმაციის სახით მოთხოვნილი ინფორმაციებიდან:

- ***4 წერილი შეეხებოდა*** ბიუროს ბიუჯეტის, საშტატო ნუსხის, ბიუროში დასაქმებული თანამდებობის პირების რაოდენობის, ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის, პირველი მოადგილის და მოადგილის სარგოების, სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯების აღწერილობას.
- ***2 წერილი შეეხებოდა*** საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმას.
- ***2 წერილი შეეხებოდა*** განხორციელებული დეკლარაციების მონიტორინგის შედეგების ანგარიშსა და თანამდებობის პირთა სიას.
- ***2 წერილი შეეხებოდა*** კონკრეტული თანამდებობის პირის კანონით გათვალისწინებული წარმოდგენილი ქონებრივი დეკლარაციის გამოთხოვასა და მონიტორინგის შედეგებს.
- ***1 წერილი შეეხებოდა*** პოლიტიკური პარტიების დაფინანსებისა და შემოწირულობების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვას.
- ***2 წერილი შეეხებოდა*** შესაძლო კორუფციულ ფაქტებთან დაკავშირებით ანტიკორუფციულმა ბიურომ მოახდინა თუ არა შესაბამისი რეაგირებას.
- ***1 წერილი შეეხებოდა*** საჯარო დაწესებულებებში კორუფციისა და ინტერესთა შეუთავსებლობის მიმართულებით გამოვლენილი შემთხვევებისა და მხილების ფაქტებთან დაკავშირებით გამოთხოვილი ინფორმაციას.